კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

ორშაბათი 28 ივლისი, 2003 წელი

№198 (4577)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

## ინფორმაცია

### წმინდა მოწამეთა დღე

დღეს მართლმადიდებლური სამყარო წმინდა მოწამეების — კვირიკეს და მისი დედის ივლიტას ხსენების დღეს აღნიშნავს.

ამ თარიღთან დაკავშირებით გამსახურდიას გამზირზე, ახლადგახსნილ წმინდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესიაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამღვდელო პირებთან ერთად სპეციალურ წირვას შეასრულებს.

### არქეოლოგები ახალ აღმოჩენებს ელიან

თბილისში, აბანოთუბანში, ორმოც მოწამეთა სახელობის ეკლესიის მშენებლობის ადგილას, არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, 4-5 მეტრის სიღრმეში, მკვლევარებმა III-IV საუკუნეებისდროინდელი სასახლის და ციხის გალავნის ნაშთებს მიაკვლიეს. მიწის სიღრმეში ადრეული ხანის კიდევ უამრავი ნივთია აღმოჩენილი, კერძოდ, ალიზის აგურები, სამშენებლო კერამიკა და ქვის მასალები.

ექსპედიცია გრძელდება და არქეოლოგები ახალ აღმოჩენებს ელიან.

### ტაძარი - ლონდონელ ქართველებს

ლონდონში მცხოვრებ ქართველებს შემოდგომიდან ქალაქის ცენტრში მდებარე ტაძარი გადაეცემათ. ამის შესახებ ლონდონის ეპისკოპოსმა რიჩარდსმა მასთან სტუმრად მყოფ დასავლეთ ევროპის ეპარქიის მიტროპოლიტს აბრაამს განუცხადა.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## კადრი



დედაქალაქის მწვანე მტრიხი. ჯემალ კასრაძის ფოტო.

## აბჯარი

### გიორგი ბრწყინვალეს სახელობისა



დღეს რესპუბლიკის მო... იმართება თავდაცვის ე... აკადემიის კურსანტთა გ... სადმი მიძღვნილი საზე... მონიალი.

წლეულს აკადემია 19... სანტმა დაამთავრა. ყველ... ოფიცრის წოდება მიენ... დამთავრებულები საქართ... იარაღებული ძალების ს... სამხედრო ნაწილში დას...

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსდამთავრებულთა მეშვიდე გამოშვებას გიორგი V ბრწყინვალეს სახელი მიენიჭა.

მიმდინარე წელს ამავე აკადემიაში 11-მა ქალმა ოცმეთაურთა ერთწლიანი მომზადების კურსი გაიარა. აღნიშნული კურსი საქართველოში დიდი ბრიტანეთის სწავლების ფორმით ხორციელდება. თერთმეტივე კურსდამთავრებულს დღესვე გადაეცემათ დიპლომები.

**ინტერ-პრესი.**

## ჩვენებურები

### ახალი დროის ნიშანი

იხ. მე-3 გვ.

## ფელეტონი

### იცერაკო სეგუნა ნაიდობეგუბუ

**XV საუკუნის იაპონური ნოველა ***

ნაიდობეგუბუ იამახოტო ტაკუგავამ, სეგუნების დინასტიის უმცროსმა სეგუნმა ზუსტად მაშინ გაიღვიძა, როცა ტაისეს თვის მასიქაკას ქამმა დარეკა. მოიქექა ტაკუგავამ გროსიბეი რაკო, მძიმედ ამოიხვნეშა და ღრმა ჩაფიქრების ბეჭედი დაღად დააჩნდა მზით გარუჯულ მის სიყბაჩობას. ოთახში შემოიჭრა ნაირფერი სიბიმი და ტატამზე შეჰკრა კამარა. ამან ოდნავ გაახალისა ტაკუგავა.

იხ. მე-2 გვ.

* ალექსანდრე მეშკოვის მიხედვით. „ლიტერატურნაია გაზეტა“ №30.

## გულის ბუხარი

### ჩვენებურ ტარზე წამოგებული სხვისი ცული


ФОТОРЕПОРТАЖ ИЗ БАГДАТИ
Стр. 20
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА!
В Грузии
*ЗАКОНОПРОЕКТ ПРИНЯТ, НО ЕСТЬ НЕДОВОЛЬНЫЕ*

**მცირე პასუხი კოლეგებს - უცხო გაზეთის ქართველ კორესპონდენტებს**

„ქვეყანა, რომელშიც ბოლო ათი წლის მანძილზე ჩინოვნიკთა გამდიდრების გარდა არავითარი სხვა პროცესი არ მიმდინარეობს, კატასტროფისთვის არის განწირული“.

ეს ციტატა ამოღებულია გაზეთიდან „კომსომოლსკაია პრავდა ვ გრუზიი“ (№30, 25.07-1.08.2003 წ), რომელშიც დაბეჭდილი მასალები ქართველმა კორესპონდენტებმა მიაწოდეს ამ რუსულ გამოცემას.

აი, ამგვარი ქვეყნის სახელს, ანუ, მოდურად რომ ვთქვათ, იმიჯს უქმნიან ქართველი ჟურნალისტები უცხო გაზეთში საკუთარ სამშობლოს.

სამწუხაროდ, ეს არახალია, ძველია.

რატომ ხდება ასე? დავიჯერო, იმდენად დაკარგეს მათ ობიექტურობის აღქმა-შეგრძნების უნარი, რომ მართლაც სჯერათ, რასაც წერენ და მართლაც წყალგაუვალ სიმართლე-ჭეშმარიტებად მიაჩნიათ იგი?

თუ, დავიჯერო, მხოლოდ იმიტომ წერენ, რომ ამგვარ „სიმართლეში“ კარგ ფულს უხდიან?

თუ ბრმად აკეთებენ იმას, რასაც უკვეთავენ?

თუ ყველაფერი დაავიწყდათ, რაც ამ „ბოლო ათი წლის მანძილზე“ მოხდა?

თუმცა, დავანებოთ თავი ამდენ „თუს“ და მარჩიელობას.

მათ თუ დაავიწყდათ, მე კარგად მახსოვს ყველაფერი და მინდა ამ ახალგაზრდებსაც გავახსენო, რანი ვიყავით, რა დღეში ვიყავით, სად ვიყავით და, მართლაც, რა კატასტროფისთვის ვიყავით განწირულნი „ბოლო ათი წლის“ წინათ.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა

ისრაელი ციხეებიდან გამოუშვებს „ჰამასის“ კიდევ 110 აქტივისტს. ისრაელელები ამერიკისგან ითხოვენ თვალყურის მიდევნებას იმისათვის, რომ ტერორისტებმა კვლავ არ დაიწყონ თავიანთი პირვანდელი საქმიანობა.



ერაყის სამხრეთში ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს. გასულ კვირას 11 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. პენტაგონელი ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ ერაყში პარტიზანული ომის გაშლას.



ამოცანები, რომლებიც ამ ორმოცდაათი წლის წინათ დაისახა კუბის რევოლუციამ, არა მხოლოდ შესრულდა, — არამედ გადაჭარბებითაც, განაცხადა ფიდელ კასტრომ სანტიაგო-დე-კუბაში მონკადას ყაზარმების შტურმით აღებისადმი მიძღვნილ შეკრებაზე.



**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## გულის ბუხარი

(პირველი გვერდიდან)

თუმცა იმისათვის, რომ ვინმემ, უწინარესად კი, ზემოთ აღნიშნული რუსული გამოცემის ქართველმა კორესპონდენტებმა, არ იფიქრონ, ყველაფერი, რისი თქმაც მინდა მათს ნაწერებთან დაკავშირებით, მავანთა, განსაკუთრებით, ხელისუფლების გასამართლებლად თუ დასაცავად (ამასთან დაკავშირებით ჩემს პოზიციას ქვემოთ მოგახსენებთ, — **რ. რ.**) ახლა მოიფიქრაო, მსურს ერთი ამონარიდი მოვიტანო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1999 წლის 8 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ჩემივე მასალიდან:

**„ალბათ, ყინვიანი ხანგრძლივი ზამთრით დაუძლურებულ-გაბეზრებულ ადამიანს ისე არ გაუხარდებოდა გაზაფხულის შემობრძანების მაუწყებელი პირველი მერცხლის დანახვა, როგორც მე (და დარწმუნებული ვარ, თბილისელთა აბსოლუტურ უმრავლესობასაც) 1991-1992 წლების ტრაგიკული მოვლენების შემდეგ დედაქალაქის ქუჩებში ავტოინსპექტორის ხილვამ გამახარა.**

**პირადად ჩემთვის მისი გამოჩენა ნიშნავდა, რომ ქვეყანას ქვეყნის სახის დაბრუნება სურდა, რომ სათავე ედებოდა შეიარაღებულ ბანდფორმირებათა, ნარკომანთა და დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენელთა განუკითხაობის, ძარცვა-ყაჩაღობის და ყველა იმ ბოროტების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას, რომელთა შიშითაც თბილისი და, პრაქტიკულად, მთელი საქართველო, დღე-ღამეში განსაკუთრებით, შემოდგომა-ზამთრისას, ათი საათი — დილის რვა საათიდან საღამოს ექვს საათამდე თუ „ცოცხლობდა". ამის შემდეგ შეშინებული ადამიანები ქუჩაში კი არა, საკუთარი ბინის აივანზეც ვერ ბედავდნენ თამამად გამოსვლას — ემანდ, ბრმა ტყვიის მსხვერპლი არ გავხდეთო. მანქანები ხომ იშვიათობა იყო თბილისის ქუჩებში იმ დროსთან შედარებითაც კი, დიდოსტატი კონსტანტინე რუსთაველის პროსპექტს სწორედ მანქანების მოძრაობის სიხშირით რომ უზომავდა „მაჯისცემას".**

ვითომ რაიმეს ვაჭარბებდი, კოლეგებო — უცხო გაზეთის ქართველო კორესპონდენტებო?

მართლა დაგვავიწყდა მაშინდელი გაუსაძლისი გაჭირვება, დაუნდობელი ძარცვა-ყაჩაღობა, დაუცველობისა და საკუთარი უსუსურობის მწვავე განცდები, როდესაც პოლიცია გვიცავდა კი არა, საკუთარ შენობაში ჩაკეტილი თვითონ იყო დასაცავი ათასნაირი „სამმოებისა" თუ ბანდიტებისაგან?

იქნებ, დაგვავიწყდა თუნდაც უპურობა, უშუქობა, ზამთრობით ნავთქურების იმედადღა დარჩენა, ძმათა დაპირისპირება, ცხენისწყლის გადაკეტილი თუ მაგანაზე აფეთქებული ხიდები...

რომელი ერთი გავიხსენო?

კოლექტიური ამნეზია ხომ არ დაგეწყოთ, რომ ყველას დაგავიწყდათ ის, რაც ამ „ბოლო ათი წლის მანძილზე" ხდებოდა?

დავიჯერო, იმდენად ახალგაზრდები ხართ, რომ ჯეროვნად ვერ აღიქვით



# ჩვენებურ ტარზე წამოგებული სხვისი ცული

და დაიხსომეთ ათი წლის წინანდელი საშინელებები?

მაშინ რამდენიმე ფაქტს შეგახსენებთ.

იქნებ არ გსმენიათ უფროსი თაობის ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, ქალბატონი ნუნუ ხავთასი. იგი სწორედ იმ გაუსაძლის დროს გარდაიცვალა.

მაშინ პანაშვიდებს ლამის შუადღისას ნიშნავდნენ — დღის მეორე ნახევარში, აკი მოგახსენეთ, სახლიდან გამოსვლა საშიშზე მეტიც იყო. გამოსვენების დღეც დადგა, მაგრამ... მანქანა ვერსად ვიშოვნეთ, მანქანა რომ გამოიძებნა, ბენზინი არ იყო არსად...

ბოლოს კოლეგებმა ვაკის სასაფლაოზე მისი ხელით წასვენება გადაწყვიტეს. რაღაც სასწაულად იმ დღეს ხაზზე გამოსული ხალხით დახუნძლული ტროლეიბუსი წამოეწიათ... ის გაწამებული ხალხი მიცვალებულის ხათრით ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა.

ან მანამდე, ან მერე გსმენიათ, რომ ტროლეიბუსი კატაფალკად გამოეყენებინოთ?

იქნებ არც ის იცით, ამავე მიზეზით როგორ ვერავინ მიაგო მაშინ ჯეროვანი კი არა, კუთვნილის მეათასედი პატივიც კი ცხონებულ რეზო ინანიშვილს?

კიდევ ერთი ფაქტი.

იმ დროს პოლიცია პრაქტიკულად არ არსებობდა. ყაჩაღებისა იყო თბილისი.

ერთი კოლეგა უაღრესი საჭიროების გამო საბურთალოს პოლიციის ქვეგანყოფილებას მიადგა.

დღეა, სამუშაო საათები. შენობა კი მკვდარია.

კარგა ხანს აბრახუნა ჩარაზულ რკინის კარებზე. ბოლოს, როგორც იყო, ვიღაცამ გამოიჭვრიტა — რა გინდაო.

ამან თავისი გასაჭირი უთხრა, იმან კონტრარგუმენტი შეაგება — გარეთ ვერ გამოვალთ, იარაღსაც წაგვართმევენ და ჩვენც გაგვასაღებენ. თუ ვინმეს ემალები, შემოდი, ჩვენთან ერთად ჩაიკეტეო!

ეს მანამდე იყო, ყაჩაღების ასალაგმავად ცნობილი რაუნდების დაწყებამდე.

მანამდე იყო ლამის ჩვეულებრივ ამბად აღქმული ისეთი უმიზეზო და გაუთავებელი სროლა და ბათქებიც, რომ აივანზეც ვერ გაბედავდი გასვლას.

ერთხელ მეზობელი კორპუსიდან ატეხილი ასეთი სროლისა და ხმაურისგან შეშინებულ ჩვილს აკვანში კინაღამ კრუნჩხვები დაეწყო.

მერე, როდესაც სროლა დროებით შეწყდა, შებინდებისა და შიშისგან გარინდული უბანი აივანზე გადმომდგარი გადამთვრალი თუ ნარკოტიკებით გაბრუებული მამაკაცების ბღავილმა შეძრა — ქალი გვინდა!!!

და კვლავ გაუთავებელი სროლა იმავე აივნიდან...

იქნებ არც იმის სიმწარე გახსოვთ,



რომ დეკემბრის სუსხში, დილის 4 საათიდან მოკეცილ რიგში ჩამდგარს და ლამის 4-5 საათის ლოდინის შემდეგ დახლიდან სულ ერთი მეტრით დაცილებულს, პური არ შეგხვედრიათ?

მით უფრო, თუ ეს პური საკუთარი პატარებისთვის გინდოდათ და საღამომდე მას სახლში ვერ მიიტანდით, რადგან აუცილებელ სამსახურებრივ საქმეზე იყავით წასასვლელი, მეუღლე კი აკვანში ჩაკრულ თოთოს ვერავის დაუტოვებდა?

მართლაც, რომელი ერთი გავიხსენო?

ვიცი, ამაზე შეიძლება კიდეც ჩაგეცინოთ, კოლეგებო — უცხო გაზეთის ქართველო კორესპოდენტებო, სპეციალურად ცდილობს მაშინდელი სიტუაციის გამუქებას, რათა ამჟამინდელი ვითარება შეამსუბუქოსო.

ჯერ ერთი, არაფერს არ ვცდილობ, და მეორეც, ისიც ვიცი, თანაც თქვენზე არანაკლებ უკეთ, რაოდენ მძიმე სიტუაციაა დღესაც საქართველოში, როგორ მძლავრობს და პარპაშობს კორუფცია, როგორ უფატრავს გულღვიძლს ქვეყნის ეკონომიკას კონტრაბანდა, როგორ უჭირთ ადამიანებს, განსაკუთრებით პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლებს, როგორ მარწუხივით გვიჭერს ყელში უამრავი პრობლემა, უწინარესად კი ის, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერასგზით ვერ დაგვიძლევია დამღუპველი ურთიერთდაპირისპირება, გაუტანლობა, შური, ცილისწამება თუ უამრავი მანკი, თავის დროზე ბაზალეთამდეც რომ მიგვიყვანა, მთავრობის სახლისთვის ზარბაზნის დაშენამდეც, და დღევანდელი მდგომარეობის გამოსწორებაშიც გვიშლის ხელს.

უიარაღოსი არ იყოს, არც თქვენ ხართ ვენეციელები და არც მე — ფრანგი, ორთავენი ბედკრული საქართველოს შვილები ვართ და, იმიტომაც ვიცი.

თქვე კარგი დედ-მამის შვილებო, გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, ნუთუ ამ ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოში მართლაც ხალხის კისერზე წურბელებივით მიწებებული, ბიუჯეტის ყვლეფით გამდიდრებულ-გაქსუებული ჩინოვნიკების მეტი ვერაფერი დაინახეთ? ნუთუ თქვენი თვალსაწიერიდან მხოლოდ, ვთქვათ, საირმის გორა თუ მავანთა ფეშენებლური სრა-სასახლეები ჩანს?

ნუთუ, კარგი ვერაფერი ნახეთ? ისეთი კარგი, მოყვარეს რომ გულს გაუკეთებდა, მტერსა და ავის მოსურნეს კი — მოუკლავდა?

ნუთუ, ფიქრობთ, რომ რაც უფრო მუქი ფერებით აღწერთ უცხო სახელმწიფოთა პრესაში ჩვენს დღევანდელობას, ამით გულაჩუყებულ-შეძრული იქაური ბოსები და ბიზნესმენები მაშინვე ჩვენს დასახმარებლად დაიძვრებიან?

ან ნუთუ... ნუთუ მართლა შეკვეთილი იყო ეს მასალები, თანაც კარგი გასამრჯელოს ფასად?!

ვგონებ, მეტისმეტი და, რაც მთავარია, არაფრის მომტანი შეგონება გამომდის.

ერთსღა ვიტყვი: იმით, რაც ვთქვი, სულაც არ ვაპირებ ვინმეს, მით უფრო, ხელისუფლების დაცვას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არაფერში არ მჭირდება და მეპიტნავება ჩემი დასაცავი ხელისუფლება. პირიქით, იგი თავად უნდა მიცავდეს მე — მოქალაქეს, გადამხდელსა და ამომრჩეველს...

და ბოლოს, ხეს დაუჩივლია, ცული რას დამაკლებდა, ჩემგანვე გამოთლილ ტარზე რომ არ იყოს წამოგებულიო.

**რუსლან რუსია.**

P. S. **როგორც შეამჩნევდით, ამ წერილში მხოლოდ ყოფითი საკითხებზე ვისაუბრეთ. თანაც, ძალიან მოკლედ. იმ უმნიშვნელოვანეს პროცესებზე კი საერთოდ არაფერი მითქვამს, რომლებიც საქართველოში „ამ ბოლო ათი წლის მანძილზე" მოხდა და თქვენ ვერ თუ არ შეამჩნიეთ, — კოლეგებო — უცხო გაზეთის ქართველო კორესპონდენტებო!**

**რ. რ.**

## კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს რობერტ სტურუა.**



### ქვეყნისთვის

— როგორც ყოველთვის, მქონდა იმედი, რომ ამ კვირას რაღაც შეიცვლებოდა და უნდა გითხრათ, რომ შეიცვალა, — მივიღეთ ცვლილებები საარჩევნო კანონთან დაკავშირებით.

მართალია, ის, ვინც ითხოვდა, რომ ყველა ადგილი მათი ყოფილიყო, უკმაყოფილოა, მაგრამ, რადგან შვილიშვილმა პირველად მითხრა: — ბაბუ, ყველაფერი ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა. ამიტომ, მეჩვენება, რომ თავი უნდა დავანებოთ სიცრუეს, პირფერობას, რატომღაც, ყველას ჰგონია, რომ სხვების მოტყუება ადვილია, მაგრამ სინამდვილეში, ყველას მოატყუებ, ბავშვების გარდა, რომელიც იტყვის — მეფეები შიშვლები არიან. სამწუხაროდ, ჩემი შვილიშვილი — ელენე ჯერ ამას ვერ იტყვის.

### ჩემთვის პირადად

— წლეულს რუსთავში გაიმართება მეხუთე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „ოქროს ნიღაბი", რომლის საპატიო პრეზიდენტი მე ვარ. თეატრს მთელი ცხოვრება შევალიე და, ამდენად, ყველაფერი, რაც ქართულ თეატრს უკავშირდება, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ამიტომ, ქართულ ფესტივალში მონაწილეობას სხვაგვარად ვაფასებ. სწორედ გასულ კვირას პირველად შეიკრიბა ფესტივალის ჟიური, დაისახა საფესტივალო გეგმები, მუშაობის ფორმები. ვიმედოვნებ, რომ „ოქროს ნიღაბი" ამჯერადაც საინტერესო და შედეგიანი იქნება.

## ფელეტონი

# იცერაკო სეგუნა ნაიდოძეგუბუ

(პირველი გვერდიდან)

იგი ჭაბუკივით წამოხტა, გამოხსნა ორივე ესიდო, სასწრაფოდ მოისხა მსუბუქი კასურის ფართე კამაძუკუ, გარშემო მიმოიხედა, ოდნავ დაიძაბა და ეთერს შეუერთა ღამის კუნაოსი. შემდეგ ნაზად გაუღიმა დილის ამ უბიწო ბგერას, რომელიც არის ძე დიადი აიკამო-ბოყანოსი (იაპონურ მითოლოგიაში აიკამო-ბოყანო ქარისა და ზღვის სტიქიის მბრძანებელია) და ზღვის მიმოქცევის ტერცეტით მიაგო კაკიამოსი ცვრიან ბალახში, რითაც დააფრთხო იქვე მთვლემარე ბომაჟოხი. უხილავი მუსიკოსი ნაზად ჩამოჰკრავდა გულის სიმებს და ამ ღვთაებრივ მელოდიას ერთვოდა მისი ხავერდოვანი მოკამოძოვი.

უცებ გაისმა ხის კასაბუკეთა კაკუნი, შინაგანად დაიძაბა ტაკუგავა, ყურადღება იხმო ფარად, აილეწა და ყველა კიდური სისხლით აევსო. ალღოს და მგრძნობელობას არასდროს უღალატია მისთვის, ნათელმხილველობის სოცუიამაკი მისი მუდმივი თანმდევი იყო. მან იგრძნო, რომ მის განსასვენებელს უახლოვდებოდა ულამაზესი აირან-სუძუკი ტოიოტა საბურავა, ინკეს ქალიშვილი, ადგილობრივი კუგესი.

— სეანარა, სუძუკი! — მიესალმა იგი ქალიშვილს.

— სეანარა, ტაკუგავა-სან! — უპასუხა ქალიშვილმა და გაწითლდა როგორც აცაბოსი.

— მიამოტი სანძობურო! — ღიმილით შეიპატიჟა ნაიდოძეგუბუმ.

— იცერაკო? — ცელქად იკითხა აირან-სუძუკიმ.

— მოგართმევ ყუმარო-დამბულის! — მოულოდნელად ტყუილი იკადრა სეგუნამ.

ქალიშვილმა ოდნავ დააყოვნა, თითქოს აპირებსო ნაიდოძეგუბუსგან მოულოდნელი სტუმართმოყვარეობის მიზეზის ამოცნობას. ბოლოს მაინც ააფრიალა მუქი წითელი ფერის კიმონოს ფრთები და უშიშრად გადააბიჯა სობუიამაკის ზღურბლს.

ნაიდოძეგუბუმ თბილი საკეს ჭიქა მიაწოდა. აირან-სუძუკიმ ვერ ჰკადრა უარი, რადგან ასეთი უშეროკით შეეძლო გაენაწყენებინა ქალაქში პატივსაცემი პიროვნება. განაწყენება კი მის გეგმაში არ შედიოდა.

თვალები აემღვრა თბილი საკესგან აირან-სუძუკი საბურავას, მოულბა სხეული და ტატამზე გაწვა თავისი ნებით და მოისროლა წითელი კიმონო, რომელიც თანხმობის დროშად აფრიალდა.

სიამოვნების რუკუმიბომ რომ გაიტაცა, უკუაგდო ტრადიციული კდემამოსი და ნეტარებისთვის განემზადა:

— შენი ვარ, ტაკუგავა-სან!

სქესთა ლტოლვის ჟამი დგებოდა... და:

— მაშ, გვაძლევ ხმას არჩევნებში! — გაიბადრა ყვითელ კუდამოსივით ტაკუგავა და ქალიშვილის სახელი ამომრჩეველთა სიას დიდი იეროგლიფებით მიაწერა...

— კუბოესი! კუბოესი! — იძახდა აღტკინებული ტაკუგავა და დარბოდა სობუცუიამაკის სიფრიფანა სახურავზე...

* * *

**აი, ასეთი აქტივისტები ჰყავს აკმაკუნასუს მოძრაობას ამომავალი მზის ქვეყანაში!**

**ჩვენები კი კრიშებზე დადიან...**

**სან სირაკუზა.**

## ჯილდო

# რუსუდან ხორავა — ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის ლაურეატი

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის სამდივნოს გადაწყვეტილებით, ვაჟა-ფშაველას ლექსებზე შექმნილი საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებებისათვის **კომპოზიტორ რუსუდან ხორავას** მიენიჭოს უკვდავი ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

### ჩვენებურები

# ახალი დროის ნიშანი

**ახლახან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრის პრეზენტაცია შედგა.**

**უამრავი ხალხი ესწრებოდა ამ ღონისძიებას. საღამოზე მობრძანდა ამ ინიციატივის მხარდამჭერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საპატრიარქოს წარმომადგენლები, საღამოს ესწრებოდა თურქეთის ელჩი საქართველოში. იყვნენ ლაზები თურქეთიდან, სარფიდან. იყო ჩვენი დიდებული სიმღერები, ცეკვები. ლექსები, სარფელ ლაზ პოეტს თანდილავას ცვლიდნენ მსახიობები, რომლებიც კითხულობდნენ ქართველი პოეტების ლექსებს. სიტყვით გამოვიდნენ ამ იდეის ინიციატორები — საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი გიორგი ანდრიაძე, ენათმეცნიერი ნათელა ქუთელია, ფოლკლორისტი კუკური ჭოხონელიძე...**

**იყო საერთო სევდა და სიხარული. ისტორიის ბედუკუღმართობით გამოწვეულ ტრაგიკულ განცდას ფარავდა ოპტიმისტური განწყობილება. ზეობდა ქართული სული. როცა „ჩაკრულოს" ზეაღმტაცი სიმღერის შემდეგ სცენაზე ავარდა ახალგაზრდა ლაზი მომღერალი თურქეთიდან და უცებ წამოიწყო მეგრული სიმღერა „ასე ჩონგური ქოვთქუათუ", — დარბაზს ჟრუანტელმა დაუარა. ხალხი გაისუსა. გაინაბა: ეს იყო თითქოს გულიდან ამოხეთქილი მოთქმა-გოდება საუკუნეების, ათასწლეულების წინათ დაკარგულ ბედნიერებაზე, გარდასულ დრო-ჟამზე, შეფარულ და გაუმხელელ ტკივილებზე...**

**რედაქციას ვთავაზობ ნაწყვეტს ჩემი ისტორიულ-მხატვრული ნარკვევიდან, ამ სამი ათეული წლის წინათ რომ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" და რომელიც ესადაგება დღევანდელობას და იმ განწყობას, რაც ამ საღამომ გამოიწვია მაყურებლებში.**

**ციალა არდაშელია.**

## ლაზეთი... ლაზეთი...

ლაზეთი... ამ სახელის ხსენებას ზღვის ლურჯი ტალღების შრიალი მოაქვს ჩვენთან. იგი მაღალი, უსაზღვროდ მაღალი და ლურჯი ზეცის მოგონებას იწვევს. იგი ჩვენი ძველი და მოუშუშებელი იარაა და ლეგენდარულ კოლხეთის გამო სიამაყეცაა, ამავე დროს. კოლხეთით კი ჩვენი ქვეყნის ისტორია იწყება.

ლაზეთი... ზღაპრული, ლეგენდებით მოცული მხარე. ათასწლეულების სიშორიდან მოაქვს მისი დიდება პონტოს ზღვის ტალღებს, გემმა „არგომ" რომ დაურღვია მყუდროება.

პირველად მაშინ იხილეს ბერძნებმა უჩვეულო სილამაზე — ზურმუხტისფერი ქედების საოცარი სიმსუბუქე — შერწყმული ასევე ზურმუხტისფერი ველ-მინდვრებისა და ზღვის უსასრულო სილურჯესთან. ამასთან უცხოელს აქ თვალში ეცემა ადგილობრივ მკვიდრთა დახვეწილი, ნატიფი გარეგნობა, გულადობა, რითაც საუკუნეების მანძილზე იყვნენ განთქმული კოლხეთის მკვიდრნი.

„იმ ტომებს შორის, სხვა სახელმწიფოს რომ ემორჩილებიან, არ მეგულება არც ერთი ისეთი სახელგანთქმული და დიდებული ტომი, რომელსაც შეეძლოს შეედაროს მას, როგორც ბარაქა-სიმდიდრით, ისე ქვეშევრდომთა მრავალრიცხოვნებით, როგორც ვრცელი მიწებითა და უხვი მოსავლით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით", — წერდა კოლხეთზე ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი.

ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში გიორგი ყაზბეგი, რომელმაც იმოგზაურა ლაზათში სამხედრო-სტრატეგიული დავალებით, აღნიშნავს:

„ზღვისპირა ლაზების სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა. ისინი გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით გამოირჩევიან... აქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი არიან, ჩვეულებრივ ცისფერი თვალები და თეთრი პირისახე აქვთ, ამასთანავე ლაზი ქალები არაჩვეულებრივი ენერგიითა, გულადობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან".

„ნაოსნობა" ათასობით ლაზს აცლიდა სამშობლოს, ვაჭრობა და სილამაზეც ხელს უწყობდა მათ გადასახლებას სამშობლოდან. ლაზები ლამაზი ხალხია: ოსმალონი ძალიან მისდევენ მათ ნათესაობას, ლაზთა შვილებს ფულითაც ყიდულობენ", წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.

ხოლო ინგლისელი რობინ ფედენი, რომელმაც დღევანდელი თურქეთის ლაზისტანში იმოგზაურა, აღნიშნავს: „ლაზისტანის ჰავა ისევე განსაცვიფრებელია, როგორც მისი ხალხი...

გარეგნობით ლაზები სანაპიროს მცხოვრებლებს მოგვაგონებდნენ, მაგრამ ჩანს, რომ უფრო თხელ-თხელი, გამძლე და წვრილძვლიანნი იყვნენ, ვიდრე თურქები და უფრო მოგრძო სახეები ჰქონდათ. ქალების უმრავლესობა ძალიან ლამაზი იყო, თავიანთ ჭრელ, ფერადოვან ტანსაცმელში ისინი სამოთხის ჩიტებს წააგავდნენ. ეტყობოდათ ნაყოფიერნიც იყვნენ: იაილებში უამრავი ბავშვი ტრიალებდა ირგვლივ. ბავშვები ძალიან მკვირცხლები და ჯანმრთელნი იყვნენ და ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იშვიათად სადმე თუ გვინახავს შვეიცარიის გარდა, ასეთი ჯანმრთელი მთიელი გლეხობა... ტრადიციული მუსიკა და ცეკვა ჯერაც არსებობს. როცა მივდიოდით ზევით საძოვრებზე, ჩვენი მეგზურები გვამხნევებდნენ თავიანთი გუდა-სტვირებით".

პირველი კარტოგრაფები, განთქმული მეზღვაურები და გემთმშენებლები, ვაჭრები და გულადი მეომრები, პირველი ქრისტიანები საქართველოში, ხალხი, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ესოდენ ცნობილ გვარსა და დინასტიას, შრომისმოყვარე, თავისი ქვეყნის და ენის უსაზღვროდ მოყვარული — ასე იცნობდნენ ლაზებს ძველ მსოფლიოში. მაგრამ ამ მამაც და ამაყ ტომს იმთავითვე დაუსრულებელ ტრაგედიად ექცა არსებობა.

ხან ერთი იმპერიის ბრძოლის ასპარეზად იქცეოდა ძველი ლაზიკა, ხანაც — მეორის, ერთ მბრძანებელს მეორე ცვლიდა, კეისარს შაჰი მოჰყვებოდა, შაჰს — ხონთქარი... და ასე დაუსრულებლივ.

გოლგოთის გზა არგუნა ბედმა ლაზეთს, ისევე როგორც მთელს ძველ საქართველოს.

ლაზეთი... ძველი და მოუშუშებელი იარა ჩვენი ერის სხეულზე, მისი დაცემა-დაკნინების უტყუარი საბუთი, მისი დაშლა-დაქცევის გულისშემძვრელი მაგალითი.

აღზევების ჟამს ჩვენი დიდი მეფეები გრძნობდნენ ამ იარის სიმწვავეს და ცდილობდნენ, გაეწვდინათ დახმარების ხელი მოძმეთათვის, მაგრამ დროის მცირეოდენი მონაკვეთიღა არგუნა ბედმა საქართველოს ამ ისტორიული მისიის შესასრულებლად . მერე ისევ აიწეწ-დაიწეწა ყველაფერი, ისევ უკუღმა დატრიალდა ბედის ჩარხი და ნელ-ნელა, ხან ერთი ნაწილი ეკარგებოდა, ხან — მეორე მთლიან სხეულს. მერე ამ დარღვეული სხეულის გულის გადასარჩენად იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი გამართული. ვისღა ეცალა ახლა დანარჩენი ნაწილებისათვის ან ახსოვდათ კი იგი?

ხსოვნით იქნებ ახსოვდათ კიდევ, მაგრამ თანდათანობით ბუნდოვანი, გაურკვეველი ხდებოდა მოგონება! ასე რომ, დიდი სულხან-საბაც კი დააბნია საუკუნეთა ბურუსმა.

დავიწყების ფერფლი ეყრებოდა წარსულს, თანდათან ქრებოდა თანამოძმეთა ხსოვნაც...

ხოლო უზარმაზარ იმპერიასთან მარტო და პირისპირ დარჩენილი ლაზეთი, ოდესღაც დიდებული და სახელოვანი კოლხეთის მემკვიდრე, სულს ღაფავდა, ამაოდ მოუცვდა ხმალი ქნევაში, ან კი, რა ძალას შეეძლო მაშინ გაერღვია გარს მომდგარი სიბნელე? ფიზიკურად გადარჩენის ინსტინქტიღა შერჩათ ლაზებს, მუსულმანობის ზღვაში ჩაძირულთ.

„დავიწყებული ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო"... ეს საყვედური საქართველოს ისტორიულმა ბედუკუღმართობამ წარმოშვა.

და, თითქოს ამ საყვედურის საპასუხოდ გამოანათა ჩვენს ლიტერატურაში ლაზი კონსტანტინე არსაკიძის სახემ.

ჩვენმა სასიქადულო მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ არსაკიძის ლაზად წარმოჩენით თავისი ეროვნული ვალი მოიხადა ლაზეთის წინაშე. შეუძლებელია, აუღელვებლად მოიგონო ის ეპიზოდი, როცა ჟამიანობის გამო შიშით შეპყრობილ თანამოძმეებს მიმართავს არსაკიძე:

„ლაზებო, მართალია ჟამიანობა დაიწყო, მაგრამ გახსოვდეთ, ჟამის საფრთხე ყველას გვიქადის...

რას იტყვიან იბერიელები? მშიშარანი ყოფილანო ლაზები. იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეთ, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარი.

საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი. აბა მოიგონონ უხუცესებმა თქვენ შორის, სარკინოზებთან ან ბერძნებთან ომებში თუ გიღალატნიათ მათთვის? ახლა ვირთხებისა და რწყილების მიერ გავრცელებულმა ჟამმა რომ გვასწავლოს ღალატი, სირცხვილი იქნება უთუოდ, ლაზებო.

ეგეც იცოდეთ, ძმებო, არავინ ისე საძაგელი არაა ამ ქვეყნად, როგორც ძმების მოღალატე მშიშარა ვაჟკაცები...

— მართალს ბრძანებს, მართალს ბრძანებს ოსტატი, — მიაძახეს ლაზთა შორის უხუცესებმა".

შემდეგ ნოდარ დუმბაძის რომანში „ნუ გეშინია, დედა" — ახმიანდა მკაფიოდ იგივე პრობლემა, ალი ხორავას კოლორიტული სახით გამოკვეთა მწერალმა თავისი სატკივარი.

„რამდენჯერ ამოსულა სათვალთვალო კოშკზე ალი ხორავა და გაღმა გაუხედავს, ჭოგრიტი გამიწოდებია და არ გამოურთმევია — ისედაც კარგად ვხედავო. დიდხანს უცქერია, მერე მძიმედ ამოუოხრებია და წასულა. ვინ იცის, რაზე ოხრავს ალი, გაღმა დარჩენილ ბიძებზე, ბიძაშვილებზე, თუ ლაზეთზე, იქაურ ჩაბნელებულ ოდებზე, მორყეულ დედაბოძებზე, უმინო სარკმლებზე, დაკერებული შარვლებით მოტანტალე ბავშვებზე, თუ მინარეთის თავზე დარჭობილ ნახევარმთვარეზე. არავინ იცის, რაზე ოხრავს ალი ხორავა, იმიტომ, რომ არასოდეს არავის არაფერს ეუბნება. ერთი კია, რომ ოხრავს ხოლმე. ალბათ, ყველაფერზე ერთად ოხრავს ალი". ხოლო ეს უთქმელი სევდა საცნაური ხდება იმ წარმოსახვით დიალოგში, რომანის მთავარ გმირ ავთო ჯაყელსა და გაღმელი მასწავლებლის ცოლს შორის რომ იმართება.

„გიცქერით ჩემს და მოგაფერებს და ჯუმა მოგაფერებს, დავდივარ ყველა ოჯახში, დაგყვებით ყველგან, თქვენთან ვარ, ჩემს სისხლ და ხორცთან, ნათესავებში", — ესიტყვება გაღმელი დობილი თავის გამოღმელ ჯუმა მოგაფერს...

„სულ ჩვენი იყო, ჯაყელო, აქედან ეჰეი... იქამდე. ლაზები ჩვენი ძმებია..."

არის ასეთი მეგრული ძველებური სიმღერა „დიდოუ ნანა, მებდინაო ჩქიმი ცოდა" — ვაიმე დედა, ნუთუ დავიკარგები, ჩემი ცოდვა?

ბავშვობაში ერთი მოხუცებული მთქმელისაგან გამიგონია: ჩვენი ქვეყანა განძის პატარა კუნძულია, იგი აბობოქრებულ ოკეანეში მოისროლა ღმერთმა და უბრძანა: ებრძოლე აზვირთებულ ტალღებს, ებრძოლე გამუდმებით, თუ ბრძოლას შეწყვეტ, ჩაიძირებიო.

და იბრძოდა. ებრძოდა ათასგვარი ჯურის გადამთიელსა და მტაცებელს. ებრძოდა მეხთა ტეხას. და ცოცხლობდა და ქმნიდა, სისხლის წვიმაში ქმნიდა ოშკსა და გელათს, სვეტიცხოველსა და ალავერდს, ქმნიდა ხახულის კარედს, თავის იგავმიუწვდენელ ფრესკებსა და მინიატიურებს, ცოცხლობდა, შრომობდა.

ცოცხლობენ ლაზებიც. ყველას გასაოცრად ახერხებენ შეინარჩუნონ თავიანთი მეობა. მართალია, დაილიენ. ოდესღაც დიდებული და მრავალრიცხოვანი ტომიდან მცირედნიღა დარჩნენ, მაგრამ მაინც არიან, არსებობენ, გამოირჩევიან.

„დავიწყებულები ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო!" — ჩიოდა თავის დედასამშობლოს მოწყვეტილი ლაზი და თანამოძმეთა ეს გულსაკლავი ჩივილი მოჰქონდა ჩვენამდე შავი ზღვის ტალღებს.

1974 წ.

**P. S. როგორც გითხარით, ეს სტრიქონები 30 წლის წინათ დაიწერა. დღეს კი მე ბედნიერი ვარ იმით, რომ მეზობელმა თურქეთმა ფართოდ გაგვიხსნა კარი მოსახილველად და მოსალოცად ჩვენი სიწმინდეებისა. ის საღამოც ოპერის თეატრში ახალი დროის დადგომის ერთი ნიშანია.**

**ც. ა.**

### გარდაქმნა

# აბრა შეიცვალა, შეიცვლება თუ არა შინაარსი?!

**თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტის №64-ში, შენობის ფასადზე აბრა შეიცვალა — „საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს" „საწარმოთა მართვის სააგენტო" ჩაენაცვლა. ხელისუფლებამ, დიდი ყოყმანის შემდეგ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო მარტივ მამრავლებად დაშალა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს გადასცა სამართავად. ახლა, ყოფილი სამინისტროს ერთი ნაწილი სახელმწიფო ქონების პრივატიზებით იქნება დაკავებული, მეორე კი — ამავე ქონების მართვით. ყოველ შემთხვევაში, ასე აღიქვა საზოგადოებამ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 12-წლიანი ეპოპეის დასასრული. აბრა შეიცვალა, რა ხდება აბრის უკან?**

პრივატიზების პროცესი, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიწყო, არაერთგვაროვნად აღიქვა მოსახლეობამ. გასაკვირი არც არის, თუ გავიხსენებთ 1992-1995 წლებს, როდესაც ქვეყანაში ქაოსი სუფევდა, მთავარი არგუმენტი კალაშნიკოვის ავტომატი იყო. მაშინ სახელმწიფო ქონება აუქციონზე იყიდებოდა და „თოფიანი" მყიდველის იოლი ლუკმა ხდებოდა. მასობრივი პრივატიზაციის პროცესმა, ხალხში უფრო „ვაუჩერული" პრივატიზებით რომ იყო ცნობილი, მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა, ყველა მოქალაქეს თანაბარი შანსი მიეცა, გამხდარიყო მესაკუთრე, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრმა არ ირწმუნა პრივატიზების სიკეთე და ვაუჩერი ფულად აქცია (ნომინალურად 30-დოლარიანი ვაუჩერი 5 ლარად გაყიდა), იმოქმედა პრინციპით — „დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსო". ამას ხელი არ შეუშლია პრივატიზების პროცესისათვის და სულ რაღაც წელიწადნახევარში (1995 წლის თებერვალი — 1996 წლის ივლისი), საქართველოში შეიქმნა მესაკუთრეთა კლასი, თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი ყოფილი სახელმწიფო საწარმოების აქციებს დაეუფლა. სახელმწიფომ სრულად ან ნაწილობრივ გაასხვისა ათასზე მეტი მსხვილი და ათასობით საშუალო და მცირე საწარმო. შეიძლება ითქვას, პრივატიზების პროცესი საქართველოში სწრაფად და წარმატებით განხორციელდა.

დარწმუნებული ვართ, პრივატიზების პროცესის ასეთი შეფასება უმრავლესობაში პროტესტის გრძნობას აღძრავს. ვერც შეედავები, ძნელია საპირისპირო არგუმენტები მოუყვანო იმ ნახევარ მილიონ მოქალაქეს, რომელიც ენდო ხელისუფლებას , არ გაყიდა ვაუჩერი, მაგრამ დანაპირები დივიდენდების ნაცვლად, უიმედოდ გაჩერებული და გაძარცვული საწარმოები მიიღო. მაშ რაში მდგომარეობს ამ პროცესის წარმატებულობა? ამ ქვეყნად ყველაფერი პირობითია, თუ ჩვენ ვაცხადებთ, რომ ქვეყანა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს აღიარებს, მაშინ გასაგებია, რომ უნდა არსებობდეს კაპიტალის ბაზარი, აქციები და მათი მესაკუთრეები. აი, სწორედ, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლის, ნახევარმილიონიანი მესაკუთრეთა კლასის შექმნის, სააქციო საზოგადოების დაფუძნებისა და ათასობით სახელმწიფო საწარმოს დაჩქარებული პრივატიზების, კერძო მესაკუთრის ხელში გადასვლის გამო ფასდება ეს პროცესი წარმატებულად.

იხ. მე-4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 198, ორშაბათი, 28 ივლისი, 2003 წელი.

## გარდაქმნა

(მესამე გვერდიდან)

# აზრა შეიცვალა, შეიცვლება თუ არა შინაარსი?!

თუმცა პრივატიზების პროცესის წარმატებულობა, საბოლოოდ, მაინც იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ეფექტურად ამუშავდება პრივატიზებული საწარმო, დასაქმდება ხალხი, შეიქმნება პროდუქცია, ბიუჯეტი მიიღებს შემოსავლებს, აქციონერები – დივიდენდებს და ა. შ. ამ მხრივ დასაკვეხნი მაინცდამაინც არაფერი გვაქვს. მსხვილი საწარმოების უმრავლესობა ან გაჩერებულია, ან ზარალიანია. პრაქტიკულად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, 90-იანი წლის ბოლოსა და 2000-იან წლებში ვერ გაართვა თავი მის საკუთრებაში არსებული აქციების მართვას. უფრო მეტიც, ვერც ბოლო ორ წელიწადში მინისტრების შეცვლამ უშველა საქმეს. პირიქით, ყოველი შემდგომი მინისტრის ხელში, სამინისტროს განკარგვაში არსებული საწარმოების საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდებოდა, პრივატიზების პროცესიც შეფერხდა და სახელმწიფო ბიუჯეტმაც იზარალა. სხვათა შორის, 1998 წლიდან დაწყებული, სახელმწიფო ბიუჯეტს, ყოველწლიურად, ათეულობით მილიონი დაგეგმილი ლარი აკლდებოდა, რომელიც სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად უნდა მიეღო ბიუჯეტს. ასე რომ, ბიუჯეტის ცნობილ სეკვესტრებში, დღეს არსებულ პრობლემებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დაძაბულ ურთიერთობებში, განუხორციელებელი პრივატიზების დიდი წვლილიც დევს.

ცხადია, თუ რომელიმე სტრუქტურა ამოწურავს თავის შესაძლებლობებს და ვეღარ ასრულებს ფუნქციას, იგი უნდა გაუქმდეს ან გარდაიქმნას. მაგრამ რამდენად გაამართლებს გაუქმებული სამინისტროს ბაზაზე ახალი სტრუქტურების შექმნა და მათი, კიდევ ერთი ბიუროკრატიული აპარატისთვის, ამ შემთხვევაში, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთვის დაქვემდებარება, ეს უკვე საკამათოა. საკამათოა იმიტომ, რომ თუ ერთი ბიუროკრატიული სტრუქტურა – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, დამოუკიდებლად ვერ ართმევდა თავს სახელმწიფო ქონების მართვას, მისთვის აზრის შეცვლისა და სხვა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის შემთხვევაში, სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდეთ.

ასეთი განწყობით შევხვდით საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარეს ვაჟა კაპანაძეს, რომელიც შეეცადა ჩვენი ეჭვების გაქარწყლებას: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საწარმოთა მართვის სააგენტო", რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა და მიზნად სახელმწიფო ქონების ეფექტურად მართვა – სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში სახელმწიფოსათვის განკუთვნილი დივიდენდების ზრდის ხელშეწყობა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების მართვის კოორდინაცია და სრულყოფა, საწარმოთა ლიკვიდურობის დონის ამაღლება და პრივატიზების პროცესის მაქსიმალური დაჩქარების ხელშეწყობა განესაზღვრა, დამოუკიდებელია გადაწყვეტილებების მიღებაში და, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, რომელიც, თავისი რანგით, სააგენტოზე მაღლა დგას, არის მხოლოდ პოლიტიკის წარმმართველი. სააგენტოს თავმჯდომარეს, ეკონომიკის სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. დაქვემდებარება კი იმაში გამოიხატება, რომ საანგარიშო წლის ბოლოს სააგენტო სამინისტროს წარუდგენს ანგარიშს, ეს უკანასკნელი კი აფასებს, თუ რამდენად ეფექტურად განახორციელა სააგენტომ თავისი ფუნქციები და აკეთებს დასკვნას, არა სტრუქტურის, არამედ მისი ხელმძღვანელის მიმართ.

რაც შეეხება პრივატიზების პროცესს, – თქვა ვაჟა კაპანაძემ, – მართალია, ობიექტებს საპრივატიზებოდ ჩვენ ვამზადებთ, მაგრამ აუქციონზე სამინისტროს გააქვს. ქვეყანაში პრივატიზების პოლიტიკას, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო წარმართავს და საბოლოო გადაწყვეტილებასაც იგი იღებს. ასეც უნდა იყოს, პრივატიზება ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილია და ვინ, თუ არა ეკონომიკის სამინისტრომ უნდა მართოს ეს პროცესი. გარდა ამისა, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმასაც, რომ ჩვენი სააგენტო მარტო ეკონომიკის სამინისტროსთვის არ არის შექმნილი. ტრანსპორტის, ენერგეტიკის და სხვა სამინისტროების ობიექტების უმრავლესობას ჩვენ ვმართავთ. დაუჯერებლი იქნებოდა, მეთქვა – ყველა დარგის ძლიერი სპეციალისტები გვყავს და ამ სფეროების ობიექტების მართვა არ გაგვიჭირდებაო. ცხადია, პროფესიონალების კონსულტაციები ქანგბადივით გვჭირდება და ხსენებულ სამინისტროებთან კოორდინებულად ვმუშაობთ.



იყო აზრი, სააგენტო კერძო სამართლის ობიექტი ყოფილიყო. თუ გნებავთ, განვიხილოთ ეს ვარიანტი. ხომ წარმოგიდგენიათ, კერძო სტრუქტურა როგორ იქნებოდა დაინტერესებული, როგორმე გაემართლებინა თავისი არსებობა და სამართავად რაც შეიძლება მეტი ობიექტი დაეტოვებინა. სხვანაირად, თუ ყველა საწარმოს გაასხვისებდა, მაშინ აღარც სამართავი დარჩებოდა რა და აღარც თავად სტრუქტურის არსებობის აუცილებლობა იქნებოდა. ამასთან, პრივატიზების პროცესიც დამუხრუჭდებოდა.

ჩვენ კი, ამ მოკლე დროში, დაახლოებით ერთ თვეში, უკვე 62 საწარმო წარვადგინეთ საპრივატიზებოდ. კარგია ეს თუ ცუდი? ბევრი, მათ შორის, პოლიტიკური პარტიაც კი, ხმალამოღებული ილაშქრებს პრივატიზების წინააღმდეგ, მიაჩნია, რომ საწარმოები, ყველა შემთხვევაში, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს. აქ მარტივი გათვლაა საჭირო. აი, ჩვენს მიერ საპრივატიზებოდ მომზადებულ საწარმოებს ზარალის მეტი არაფერი მოუტანიათ მესაკუთრისთვის, ანუ სახელმწიფოსთვის და ეს ჩვენს ბიუჯეტზე აისახება. ლაპარაკია იმაზე, რომ 2-3 წელია, ბალანსიც კი არ ჩაუბარებიათ. ცხადია, როგორც არ უნდა ვეცადოთ, ჩვენი ძალისხმევა არ ეყოფა მათ ამოქმედებას. მე არ ვამბობ, რომ აუცილებელია ყველა ზარალიანი საწარმოს პრივატიზება. ჭკვიანური მენეჯმენტი სწორედ ის გახლავთ, რომ ყველაფერი ზუსტად გავთვალოთ, ზოგი საწარმო გავყიდოთ, ზოგი ლიკვიდაციაზე გავუშვათ, ზოგის რეორგანიზება მოვახდინოთ".

სააგენტოს მართვაში, დღეისათვის, 1 800 საწარმოა. აქედან თითქმის 400 ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ არის დაფუძნებული, დაახლოებით 1 250 საწარმო – ყოფილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, ხოლო დარჩენილი 150 – ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ. ეს ვეებერთელა ქონებაა და გამართული მენეჯმენტის პირობებში, ამ საწარმოებმა შეიძლება გადატრიალება მოახდინონ ჩვენს ეკონომიკაში. წარმოიდგინეთ 1 800 ეფექტურად ამოქმედებული საწარმო, ათეულობით ათასი დასაქმებული თანამემამულე, ეროვნული პროდუქცია შიდა და გარე ბაზარზე, შემოსავლები ბიუჯეტში, დარიგებული ხელფასები და პენსიები და ა. შ. აი, რატომ ვუთმობთ სახელმწიფო ქონების მართვის პრობლემებს ასეთ ყურადღებას, რატომ გვაინტერესებს, თუ რა ხდება ახალი აბრის უკან.

დამეთანხმებით, ალბათ, საწარმოს კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული მისი ხელმძღვანელის მენეჯერულ ტალანტსა და გამოცდილებაზე. ჩვენს პირობებში უაღრესად ძნელია ერთი კომპანიის წარმატებული მართვა, მაშინ რა უნდა ვთქვათ 1 800 საწარმოს მართვაზე. ვინ არის საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი, რა გამოცდილება აქვს?

ვაჟა კაპანაძე, 1994-2000 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის, შემდეგ კი სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო მრჩეველი ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების საკითხებში, ფისკალურ და საგადასახადო პოლიტიკაში, ხელმძღვანელობდა ეკონომიკური რეფორმების და ფულად საკრედიტო და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამსახურებს. 2000-2003 წლებში იყო საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი.

ძნელია წინასწარ დივიდენდების გაცემა, მაგრამ ის გამოცდილება, რომელიც საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა ბოლო ათი წლის განმავლობაში მიიღო, გარკვეულ იმედებს გვისახავს, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

„საქმიანობა სტრუქტურების ჩამოყალიბებით დავიწყეთ, – ამბობს სააგენტოს თავმჯდომარე. – საწარმოთა ეფექტურად მართვის მიზნით შევქმენით ოთხი დარგობრივი სამმართველო, რომლებიც ეკონომიკის მთელ სპექტრს მოიცავს. გარდა ამისა, ჩამოვაყალიბეთ ერთი კრებსითი – ფინანსური ანალიზის, პროგნოზირების და სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველო და შიდა აუდიტის სამსახური, სადაც საბოლოო დასკვნა კეთდება ამა თუ იმ საწარმოს ბედთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, მშრალი ბალანსიდან ძნელია ობიექტის განვითარების პროცესს მიადევნო თვალი დინამიკაში, არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ანალიზისთვის. საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საფუძვლად სამი კრიტერიუმი ავიღეთ: მენეჯმენტი, ბაზრის კონიუნქტურა და ობიექტის ინფრასტრუქტურა, ის აქტივი, რომელიც საწარმოს გააჩნია. ამის მიხედვით ვსვამთ დიაგნოზს – რა ვუყოთ საწარმოს, როგორ გადავწყვიტოთ მისი ბედი. ეს ხომ რაღაც რესურსია. ჩვენ სულაც არ გვინდა, მავანს ჰქონდეს იგი მონოპოლიზებული, გაჩერებული და ჩაკეტილი, არ ღებულობდეს მონაწილეობას ეკონომიკურ პროცესებში. სხვა თუ არაფერი, გვირჩევნია ფართობი გამოვათავისუფლოთ და გადავცეთ მათ, ვინც თავის ბიზნესს განავითარებს, პროდუქციას შექმნის და ხალხს დაასაქმებს. აი, ამ პრინციპებზე ვაგებთ საქმიანობას, რამდენად გამოგვივა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, ვაპირებთ გამჭვირვალედ ვიმუშაოთ და პერიოდულად ანგარიშით წარვსდგეთ საზოგადოების წინაშე.

ბოლოს, არ შეგვიძლია, კიდევ ერთ პრობლემაზე არ შევაჩეროთ თქვენი ყურადღება – სამეთვალყურეო საბჭოებზე. მოგეხსენებათ, მათი წევრები ჩვენი წარმომადგენლები არიან საწარმოებში, ჩვენი პოლიტიკის გამტარებლები. სამეთვალყურეო საბჭოს სიძლიერე და, შესაბამისად, საწარმოს კეთილდღეობა დამოკიდებულია მისი წევრების პიროვნულ თვისებებზე, მათ ავტორიტეტზე, პროფესიონალიზმზე, სამწუხაროდ, და ეს უნდა ვაღიაროთ, საბჭოებში ძალიან ხშირად შემთხვევითი ხალხი ხვდებოდა. მათ უჭირდათ პროფესიონალებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა, სწორი გადაწყვეტილებების მიღება. უფრო მეტიც, ხშირად სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად პენსიონერებს ამწესებდნენ, რომლებიც გასამრჯელოს დაკარგვის შიშით, უფრო საწარმოს დირექტორის ნების გამტარებლები იყვნენ, ვიდრე ჩვენი პოლიტიკისა. იქ, სადაც ასეთი ხალხი გვყავდა, თავად საბჭოების არსი იყო დისკრედიტებული, მათ არავინ უწევდა ანგარიშს. ამას აღარ დავუშვებთ, გავთავისუფლდებით ბალასტისგან და ისეთ ხალხს მოვიყვანთ, რომლებიც შეძლებენ რეალურად დაეხმარონ საწარმოს ეფექტურად მართვაში. ახლა ვამზადებთ ახალი კონტრაქტის პროექტს, სადაც განსაზღვრული იქნება საბჭოს წევრების უფლებები და მოვალეობები".

**საქართველოში, სადაც ყველა ყველას ახლობელი და მეგობარია, ხშირად ძნელია პრინციპულობის გამოჩენა, მით უმეტეს, როდესაც ქვეყანაში უმუშევრობა და სიდუხჭირეა, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასი, სხვა საბიუჯეტო დაწესებულებების ხელფასებთან შედარებით რამდენჯერმე მაღალია. ძნელია გაუძლო ცდუნებას და არ დანიშნო ახლობელი, არ გაუწიო ანგარიში მეგობრისა თუ ხელმძღვანელის ზარს. არადა, დროა ვისწავლოთ სახელმწიფოებრივი აზროვნება, თუ გვინდა ჩვენი ქვეყანა ნორმალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, თუ გვინდა ჩვენმა შვილებმა, მომავალმა თაობებმა ბედნიერად იცხოვრონ.**

**მიხეილ ხოშტარია,**
**თეა ჯოხაძე.**

## გვეკითხებიან, ვუპასუხებთ!

**– ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ სოფლად, რომელთაც ერიცხებოდათ მიწის ნაკვეთი. მშობლები გარდაიცვალნენ, მამა – 1995 წელს, დედა – 1996 წელს. ვარ მშობლების ერთადერთი მემკვიდრე. რაიონის ხელმძღვანელობა ჩემს მშობლებზე რიცხული ნაკვეთის სხვაზე გაცემას აპირებს. მეკუთვნის თუ არა ეს მიწა კერძო საკუთრებაში?**

**გიორგი აბაშიძე.**

– თუ თქვენს მშობლებს მიწის ნაკვეთი მიღებული ჰქონდათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მშობლების გარდაცვალების შემდეგ კომლში არავინ არ არის რეგისტრირებული, თანაც, თქვენ ერთადერთი სამართალმემკვიდრე ბრძანდებით, მაშინ მშობლებზე რიცხული მიწის ნაკვეთი თქვენს კერძო საკუთრებას წარმოადგენს. უნდა მიბრძანდეთ თქვენი რაიონის მიწის მართვის სამმართველოს რეგისტრატურაში, სადაც მიწის ნაკვეთს თქვენს სახელზე გადმოაფორმებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

* * *

**– ვცხოვრობდი ქალაქად, ვმუშაობდი სოფლის მეურნეობის სფეროში, მივეკუთვნები თუ არა მიწის მიმღებთა პირველ კატეგორიას?**

**ნინო მურუსიძე.**

– ქალაქად მცხოვრები, მიუხედავად იმისა, თუ სად მუშაობდით, მიეკუთვნებით მიწის მიმღებთა მესამე კატეგორიას და უფლება გქონდათ შესაძლებლობის ფარგლებში მიგეღოთ მიწის ფართობი 0,25 ჰა-მდე, ხოლო თბილისის საგარეუბნო ზონაში – 0,15 ჰა-მდე.

* * *

**– ერთ კომლზე რამდენი მიწის ნაკვეთი შეიძლება გაიცეს?**

**ზაიოზ აფაქიძე.**

– მიწის რეფორმის პერიოდში (1992-1998 წლები) უსასყიდლოდ კომლზე გაიცემოდა დაწესებული ნორმით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ერთი მიწის ნაკვეთი.

* * *

**– საჭიროა თუ არა მიწის ნაკვეთის გაყიდვისას ნოტარიულად დამტკიცებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება?**

**მატრონა ბილიხოძე.**

– მიწის გაყიდვისას აუცილებელია ნოტარიულად დამტკიცებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ასევე აუცილებელია გატარდეს შესაბამისი რაიონის მიწის მართვის სამმართველოს რეგისტრატურაში.

* * *

**– სოფლად მიწის განაწილების დროს რა უპირატესი უფლებით სარგებლობენ მიწის ადრინდელი მფლობელების შთამომავლები?**

**ნუნუ ბარამიძე.**

– მოქმედი კანონმდებლობა მიწის ნაკვეთის ადრინდელი მფლობელების შთამომავლობაზე რაიმე უპირატეს უფლებას არ ითვალისწინებს. ეს მდგომარეობა შეიძლება მიწის რეფორმის კომისიებს გაეთვალისწინებინათ მიწების განაწილების დროს ადგილობრივი შესაძლებლობიდან გამომდინარე.

**ანზორ მესხიშვილი,**
**მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის რეფორმისა და საადგილმამულო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## მთა

# «ჩვენს ქუთმათობას გაუმარჯოს!»

### 1. ფილიპე ბაღიაურის საწყხარი

მთას ერთი განუმეორებელი ჯადო აქვს — ნახავ და ვეღარ დაივიწყებ, ნიადაგ იხსენებ არამც თუ ფერდობებზე მიყუჟულ ორიოდე სახლს, სოფელი რომ ჰქვია, არამედ უბრალო სიმსაც კი. სამოთხეში, რამდენიმე დღის წინათ რომ გახლდით, პირველად ზაზა გოგოლაურმა წამიყვანა, სულით და ხორცით ფშაველმა, რომელიც გაქალაქებულია და აქაურ „ტალავარს" ატარებს. მას შემდეგ ქვეყანაშიც ბევრი რამ შეიცვალა და ზაზას ცხოვრებაში — დაკარგა უერთგულესი მეუღლე, ქალბატონი ნონა, რომლის თხოვნითაც 2000 წელს გოგოლაურთის სალოცავში წამოვედით. მწუხარება მწუხარებად, მაგრამ ზაზას სიხარულმაც მოაკითხა — მის ქალიშვილს, მაიას მეორე შვილი — გიორგი შეეძინა. ახლა ის მიგვყავს მამა-პაპის სალოცავში, რომ ხევისბერმა ფილიპე ბაღიაურმა გოგოლაურთის წმინდა გიორგის ყმად აკურთხოს.



მათურხევი პატარა მდინარეა, გოგოლაურთის გადასახვევთან არაგვს უერთდება. აქედან ლაშარის ჯვრამდე თორმეტიოდე კილომეტრი ყოფილა. ორი დღის შემდეგ ლაშარობაა, მაგრამ რატომღაც ცარიელია მიხვეულ-მოხვეული გზა. ამის მიზეზს მოგვიანებით ფილიპე ბაღიაური აგვიხსნის. მათურხევს მხარს ვუქცევთ და ჩვენი ორი მანქანა დიდი ხნის გაუკვალავ აღმართებს ეჭიდება. სადღაც მწყერი ქვითქვითებს, ფერდობებს შავ-თეთრ ლაქებად აჩნევია ცხვარ-ძროხა. ათასში ერთხელ სადმე ყვავი თუ დაიყრანტალებს. ეგ არის და ეგ. სამაგიეროდ, ერთმანეთს სილამაზეში ეჯიბრებიან ალპური ყვავილები.

— ჩემი მანქანის ფირმამ რომ იცოდეს, სად ამოვედი, გვარიანად დამაჯილდოებდა, — სიამაყით ამბობს ამირანი, როცა მუქოში ავედით. აქამდე მართლაც არც ერთი უცხოური მანქანა არ ამოსულა.

აქედან ჩვენს მუხლს უნდა ვენდოთ, მოვიკიდოთ და ხელით ვატაროთ ყველაფერი, რაც ქალაქიდან წამოვიღეთ — კარვები, ჯამ-ჭურჭელი, საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი. კი დაგვხატავდა ერთი ფეხმარდი ცხენი, მაგრამ სად არის!

„დასაზვერად" მე და ზაზა მივდივართ. სალამ-ქალამს ვეუბნებით კეთილად მომღიმარ მუქოელებს და ვიწრო ორღობეებით ფილიპე ბაღიაურის საცხოვრისკენ მივდივართ. წინ მუქოს სალოცავის ხევისბერი ვახტანგ წოწკოლაური მიგვიძღვის.

აი, ფილიპეს ერთსართულიანი, მავთულბადით შემორაგულაივნიანი სახლი. ფილიპე სამი წლის წინათ გავიცანი და ცოტა არ იყოს, მეეჭვება, ვაითუ ვეღარ გამიხსენოს. ზაზას მხარგაშლილი ხვდება ხევისბერი, მერე თვალს ჩემკენ აპარებს. რაღაცას თქმას აპირებს, თან ერიდებოდა, არ შევცდეო. — ეს ხომ ჩვენი ელგუჯაა, — ამბობს ბოლოს და მეც ახლობელივით ვეხვევი შრომაჯაფაში გამოჯეკილ ხევისბერს. ისიც, სხვა მთიულებივით, ჩვეულებრივი საზრუნავ-საფიქრალით ცხოვრობს, უვლის ცხვარ-ძროხას, ხელის გულისოდენა ეზოში თესავს კარტოფილს და ერთგულად დარაჯობს სალოცავს.

— ზაზას საკლავისთვის შენ უნდა წახვიდე, — ეუბნება ფილიპე ვახტანგს, — მე, აბა, შენც იცი, არ მცალია...

— წავალ, რატომაც არ წავალ. — მაშინვე თანხმდება ვახტანგი, თუმცა საქმეები მასაც თავზე გადასდის.

არადა, ცხვრის ბინამდე კაი გვარიანი აღმართებია და პაპანაქება სიცხეში იქ ასვლა ვერაფერი სიამოვნებაა.

— თავს მოვიჭრი, თუ ათიდან ერთი ბარელი მაინც დათანხმდებოდა, — ვეუბნები ზაზას და ისიც თავს მიკანტურებს.

— ძალიან ცოტა მლოცველი ამოვიდა, ძმისწულო, — დანანებით ეუბნება ზაზას ხევისბერი. — ხალხს ძალიან გაუჭირდა...

ავედით სალოცავში და თვალს არ დავუჯერე: პირველად რომ ვიყავი, კარვის გასაშლელი ადგილი ძლივს მოვძებნეთ. ახლა ხუთიოდე კარავი ჩაედგათ.

— გწყალობდეთ წმინდა გიორგის მადლი, — გვილოცავენ დამხვდურები.

ფილიპე ბაღიაური სალოცავის ნიშთან მოუხმობს ყველას, ვინც ღვთისა და ხატის წინაშე მოვალეობამ ამ სიმაღლეზე ამოიყვანა...

### 2. ნატოს, თყრმე, კანფეტებიც უყვარს...

პანტის ძირში ჩადგმულ მაგიდას ვუსხედვართ და ვსაუბრობთ. ოჯახის დიასახლისი ქეთევანი ჯარასავით ტრიალებს. ჩვენ ჩვენი საკმარისი ყველაფერი გვაქვს, მაგრამ მაინცდამაინც თვითონ უნდა, რომ პატივი გვცეს — ხან ქაფქაფა რძეს გვთავაზობს, ხან ხაჭოს კვერებს. ეს კვერები კვამლში გამოჰყავთ და პენიცილინით გამდიდრებულს სპეციფიური გემო აქვს. აქედან ხელის გულივით მოჩანს აქაფებული არაგვი, თითოოროლა კომლიანი სოფლები ჭიჩო და ხოშარა. ღმერთო, რა სილამაზეა და რა ბეჩავია აქაურთა ყოფა! მთლიანად საოჯახო საზრუნავში ჩაფლული ადამიანები შორს არიან პოლიტიკური ორომტრიალისგან. სამაგიეროდ, თვითონ ქმნიან პოლიტიკას, რომელიც მარტივად თავის გადარჩენას და საოჯახო ეკონომიკას ნიშნავს. ფილიპეს კუდში დასდევს კავკასიური ნაგაზი ბოთა, რომელსაც დრუნჩზე ჯერაც კარგად ატყვია ნადირის კბილების კვალი: ამას წინათ მგელს შებრძოლებია და დაუჯაბნავს.

— ნადირი არ გაწუხებთ? — ვეკითხები დიასახლისს.

— აგე იმ სერზე წამოყუნტდებიან და იქიდან შემოგვმღერიან, — ამბობს ქეთევანი.

— სინათლე თუ გაქვთ?

— გვქონდა. ეს ერთი თვეა, გამოგვირთეს. ხანდახან გაზეთები ამოგვაქვს და საქვეყნო ამბებს იქიდან ვიგებთ.

— მოდით, ჩვენს ქუთმათობას გაუმარჯოს, — ჭიქას ეწევა ფილიპე. სიტყვა მომეწონა და უბის წიგნაკში ჩავინიშნე. ფილიპე მიყურებს და იღიმება. აშკარად ფიქრობს, ეგ რა არის, ცოტა ხნით ჩემთან დარჩი და ისეთ რამეებს გასწავლი, დღემდე შენს ყურს რომ არ გაუგონიაო.

ზეზვას მეუღლე მზია ვახტანგ წოწკოლაურის ხუთიოდე წლის ნატოს ეფერება. კიდევ უნდა ამოვიდე და რა გიყვარს, რა წამოგიღოო.

— ნაყინი მიყვარს, — თვალები გაუბრწყინდა ნატოს.

— ვაიმე, ნაყინი როგორ წამოგიღო, გამიდნება, — წუხს ქალბატონი მზია.

— მე კანფეტებიც მიყვარს! — გამოსავალს პოულობს ნატო და ყველანი გულიანად ვიცინით.



ხვალ, დილაუთენია, სალოცავში უნდა ავიდეთ, ხვალ ფილიპე ბაღიაურს დიდი ჯაფა დაადგება, ამიტომ უნდა დავიშალოთ. მე, როგორც საპატიო სტუმარს, ლოგინს ოთახში მიშლიან. დაწოლა და დაძინება ერთი იყო — დაღლილობამ და მთის ბროლივით ჰაერმა თავისი გააკეთა — მშვიდი, ღრმა ძილი დამეუფლა.

### 3. კაფია ყველგან კაფიათბს

სანამ მთის წვერზე დავანებულ სალოცავში ავალთ, მზე კარგად შემაღლდება. ფილიპე ბაღიაურს დროშა გამოაქვს და ზარს ახმიანებს — დროა, დავიძრათ. წინ ფილიპე მიგვიძღვის, მერე გოდერძი კუწაშვილი, დავით მგელიაშივლი, ვახტანგ წოწკოლაური, კობა ფშაველი მიჰყვებიან. დინჯად მიაბიჯებენ პატარა გიორგი და მისი დაიკო თამარი. მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით ნელ-ნელა ვუახლოვდებით სალოცავს, სადაც შესაწირავი უნდა შეიწიროს, ქადა გაიჭრას, სანთლები აინთოს. აქა-იქ ამამლაყინწებული ჭინჭარი, ბაბუაწვერა, ვაციწვერა, ჯოდურა, სამყურა, ქუჩი მდუმარედ გვეგებებიან.

— რა ქნეს პარლამენტში, გასაყოფი გაიყვეს თუ ვერა? — მეკითხებიან მთიელები, — ეგენი რო ჭკუით ყოფილიყვნენ, დღეს ათი ამდენი ვიქნებოდით. გაუჭირდა ხალხს, მამაპაპის სალოცავში ვეღარ ამოსულა...

— ამიტომ ყველა თავისი თავის იმედად უნდა იყოს...

— ნეტავი, რატომ ითმენენ ამდენ უღმერთობას? — უკვირს გოდერძის თუ დავითს.

— ღმერთი მაღალია, ყველაფერს ხედავს...

— ჰო, მაგრამ...

ასე ფიქრობს მართლაც თავისი მარჯვენის იმედად დარჩენილი მთიელი. მართლაც რომ ჯოჯოხეთურ პირობებში ამრავლებს ცხვარ-ძროხას, რათა არა მარტო ოჯახს, არამედ ქვეყანას შესძინოს თუნდაც მცირეოდენი რამ...

როგორც იქნა, გათავდა გრძელი და დამღლელი გზა. შეგვიძლია ჩავიმუხლოთ, გავაბოლოთ, ერთმანეთი გავიცნოთ და მივიკითხ-მოვიკითხოთ. იქით ახმეტელები მიმსხდარან და ახმეტაზე აქეთ მეკითხებიან, რადგან ამ ოცდახუთი წლის წინათ ამ რაიონში ვმუშაობდი. ფილიპე ბაღიაური თავისი სახევისბერო საქმით არის დაკავებული — სალოცავი უნდა აკურთხოს და მლოცველები დაამწყალობნოს. ჩვენ მოშორებით ვსხედვართ — გოდერძი კუწაშვილს, დავით მგელიაშვილსა და კობა ფშაველს (ასე გამეცნო) ვუსმენთ. ვიღაცამ ცაბაურთა ახსენა და კობა ფშაველმა მაშინვე მიულექსა:

**„იმით მიყვარს ცაბაურთა,**
**ქალებ დადის საცა უნდა,**
**ბეჩავ კაცის სადონისი**
**თან დააქვის, რაც მას უნდა".**

გოდერძი კუწაშვილი დავით თურმანაულის ლექსით შეეხმიანა:

**„ცაბაურსა ცასა ჰკიდავ,**
**საზარეში ზარივითა,**
**ცაბაურთას არვინ მამწონს,**
**კუკაიას ქალივითა,**
**დამიწუნა, მაგ წყეულმა, —**
**არაყსა სომს წყალივითა,**
**— რო ვსომ მე თავისასა ვსომ**
**განა მამაქ თვალივითა".**

...უკვე გვიანი იყო, როცა ფილიპე ბაღიაურმა თავისი მრევლით ისევ ქვემოთ, ბანაკში ჩამოინაცვლა. დალოცეს ხატ-სალოცავები და მლოცველები, ქვეყანა, ერი და ბერი, მშვიდობა და ცხოვრების დალაგება.



ის ღამე გოგოლაურთაში თეთრად გათენდა. ჩვენ, ფილიპე ბაღიაურის სტუმრები, ისევ ლოგინში ვნებივრობდით, როცა ოჯახის დიასახლისი ფეხაკრეფით გაიპარა, ძროხებიც მოწველა, საძოვარზეც გარეკა, ჯამ-ჭურჭელიც დააკრიალა და რძეც დააბინავა.

ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი გაღმა ჭიჩოს, პავლე წოწკოლაურის საუფლოს და დავეშვით ქვემოთ, რათა არაგვს ადევნებული ქალაქში დავბრუნებულიყავი და თქვენთვის, ჩემო მკითხველო, ეს ამბავი მომეთხრო...

**ელგუჯა ლებანიძე,**
**ავტორის ჩანახატები.**

## ექსპერიმენტი

# ჭიაყელა უძახე შენ და...

## ანუ რა საოცარი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ, ერთი შეხედვით, უსარგებლო არსებას

**იმდენი ამბიციური ადამიანია ჩვენს გარშემო, გვიკვირს კიდეც, თუკი ვინმეს არ სურს პოპულარობა და მხოლოდ საქმის კეთებაზეა ორიენტირებული. არადა, ასეთები ნამდვილად არსებობენ: უსხედან თავიანთ საქმეს და უხმაუროდ ცდილობენ, ქვეყანას სიკეთე შემატონ.**

**ბატონი ჯემალ ბადაგაძე წლების წინათ, ალბათ, თავადაც ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მისი საქმიანობის საგანი სოფლის მეურნეობა იქნებოდა, მაგრამ ამ ადამიანის ხელთ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ძალიან საინტერესო ლიტერატურა, რომელიც იუწყებოდა, რომ ჭიაყელას ნამდვილი სასწაულების მოხდენა შეუძლია!**

რაღა თქმა უნდა, შეიძლებოდა, ბატონ ჯემალს ეს ინფორმაცია წინა ღამის სიზმარივით დავიწყებოდა, მაგრამ ბუნებით მაძიებელ კაცს ჭიაყელების შესაძლებლობების შესახებ გაგონილმა ამბავმა მოსვენება დაუკარგა და სოფლის მეურნეობის სფეროში ახალ-ახალი საინტერესო ლიტერატურის გაცნობის სურვილი გაუჩინა. მიღებულ ზღვა ინფორმაციას თავისებური გადამუშავება მოჰყვა და დღეს ჯემალ ბადაგაძეს ფრიად საინტერესო და პერსპექტიული საქმის პიონერად მიიჩნევენ. განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ მისმა დაწყებულმა საქმემ მსოფლიო ბანკის ყურადღება მიიპყრო და ეს ყველაფერი წელიწადნახევრის წინათ გრანტის მიღებით დასრულდა. ამ დღეებში კი ამ ბანკის წარმომადგენლებმა ქართველ სპეციალისტებთან და მსოფლიო ბანკის სპეციალური პროგრამის კოორდინატორებთან ერთად მოინახულეს საცდელი ნაკვეთი, სადაც ჯემალ ბადაგაძის მიერ დაყენებული ფრიად საინტერესო ექსპერიმენტი მიმდინარეობს.

სოფლის მეურნეობის დარგში მოღვაწე ქართველი კორიფეების და



უცხოელი სტუმრების აზრით, გლდანში, ხელისგულისოდენა მიწის ნაკვეთზე, ნამდვილად საინტერესო რამ ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯემალ ბადაგაძის პირველი პროექტი წარმატებით დასრულდება და გამორიცხული არ არის, რომ მსოფლიო ბანკმა მას გრანტი მეორედაც გამოუყოს.

თქვენ შეიტყობთ, რა სასწაულის მოხდენა შეულიათ ჭიაყელებს და რას უნდა მოელოდეს ჯემალ ბადაგაძის მიერ წლების მანძილზე გაწეული კოლოსალური შრომის შედეგად დახვეწილი მეთოდისაგან საქართველოს სოფლის მეურნეობა. მანამდე კი, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ გაიმარჯვა, ჯემალ ბადაგაძის უსაზღვრო მოთმინების უნარმა გაიმარჯვა: ამგვარი ნიჭით, როგორც წესი, მიზანსწრაფული და სიახლეების მოყვარული, თანაც — ბუნებით შემოქმედი ადამიანები არიან დაჯილდოებულნი. სწორედ ამ თვისებების წყალობაა, რომ პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი ჯემალ ბადაგაძე ათ წელიწადზე მეტია. არ დაიღალა ათას კაბინეტში ქაღალდების დასტით სიარულით, გამოთვლებით, მტკიცებით, ახსნა-განმარტებებით და ექსპერიმენტებით.

რაც მეტი წინააღმდეგობა შეხვდა, მით მეტი მონდომებით ამტკიცა ერთი შეხედვით წარმოუდგენელი ციფრებისა და ფაქტების სისწორე და ბოლოს დაამტკიცა: საქართველოს არ უნდა ეშინოდეს იმისა, რომ ის მცირემიწიანი ქვეყანაა, რადგან ბუნებაში არსებობენ ჭიაყელები და კიდევ — ჯემალ ბადაგაძის „ჩარჩო-კონტეინერები"!

იხ. მე-12 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## სახელოვანი მშობლები

# ბესო ჟღენტმა ერთ ღამეში 30 აფხაზი პოეტის ლექსი დაიზეპირა

**ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას მჭიდროდ უკავშირდება ბესარიონ (ბესო) ჟღენტის სახელი.**

**ბესო ჟღენტი — შეუდარებელი ტრიბუნი და ორატორი;**

**ბესო ჟღენტი — ენამახვილი პოლემისტი და უაღრესად კოლორიტული პიროვნება;**

**ბესო ჟღენტი — დიდად განათლებული ლიტერატურათმცოდნე და თეატრმცოდნე — უამრავი სტატიის, კრიტიკული წერილის, ლიტერატურული პორტრეტის ავტორი...**

**— თუმცა, შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ მამა განათლებით იურისტი იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, — მესაუბრება ნინო ჟღენტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბესარიონ ჟღენტის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან (დედა თამარ ცინცაძე), ნინოს ჰყავს ძმა — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ჟღენტი, აგრეთვე, და — ირინე ჟღენტი — რეჟისორი, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პედაგოგი — ბესო ჟღენტისა და ეთერ გუგუშვილის ქალიშვილი.**

**— არც მე ვიცოდი, ქალბატონო ნინო, თუ ბატონ ბესოს იურიდიული განათლება ჰქონდა.**

— მაშ... ლეგენდარული ლუარსაბ ანდრონიკაშვილის უსაყვარლეს სტუდენტად ითვლებოდა... პირველდაწყებითი განათლება კი მიიღო ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომლის დირექტორი იყო ცნობილი იოსებ ოცხელი, ხოლო ქართულს სილოვან ხუნდაძე ასწავლიდა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა ხალხმა დაამთავრა ეს გიმნაზია — კონსტანტინე გამსახურდიაო, შალვა ნუცუბიძეო, ვალერიან გაფრინდაშვილიო, კონსტანტინე ერისთავიო... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

აქ სწავლის წლებმა დიდად შეუწყო ხელი მამის ნიჭის გაფურჩქვნას. მონაწილეობდა ლიტერატურულ საღამოებში, ლექსებსაც წერდა. მაგალითად, ლექსით გამოხმაურებია იგი სამწუხარო ფაქტს — აკაკი წერეთლის გარდაცვალებას, და, როდესაც, გიმნაზიაში სამგლოვიარო მიტინგი გამართულა, იოსებ ოცხელმა მაგიდაზე დააყენა, თურმე, 12 წლის ბესო და ლექსი წააკითხა. ერთი სტროფი მახსოვს ამ ლექსიდან:

**მოკვდა მგოსანი აკაკი**
**და წვერი მოსტყდა კალამსა,**
**ბოლო მოეღო სიხარულს,**
**ტახტი დაეთმო ვარამსა...**

**— და, მიუხედავად ამისა, მაინც იურიდიულზე განაგრძო არა?**

— ასე მოხდა... იურიდიული წარჩინებით დაამთავრა, მუშაობდა ადვოკატურაში და რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმეც მოიგო. თუმცა, მოგეხსენებათ, მაშინ დაცვას ყურს დიდად არავინ უგდებდა... დღეს რომ ადვოკატებს გასაქანი აქვთ, ხომ წარმოგიდგენიათ, ბესო ჟღენტი თავისი ორატორული ნიჭის, ლოგიკური აზროვნების წყალობით, რა სიმაღლეებს მიაღწევდა...

**— ცეცხლს დაანთებდა, ცეცხლს, სასამართლო პროცესებზე. თუმცა, ეტყობა, ლიტერატურის სიყვარულმა მაინც თავისი ქნა.**

— მართლაც... მამა დაინტერესებული იყო მაშინდელი ლიტერატურული პროცესებით, მონაწილეობდა დისკუსიებში... სწორედ მაშინ შენიშნა იგი ახლადდაარსებულ ჟურნალ „მნათობის" (1925 წ.) რედაქტორმა ვალია ბახტაძემ და დაავალა დაეწერა მიმოხილვითი სტატია „ქართული მწერლობა 1924 წელს", რომელიც კიდევაც დაიბეჭდა ამ ჟურნალში. მაშინ სულ 21 წლის ჭაბუკი იყო... აქედან წავიდა და წავიდა, ადვოკატურა უკან დარჩა...

**— მალე იგი, თუ არ ვცდები, მარჯანიშვილის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე ხდება...**

— დიახ. საერთოდ, თეატრი მისი მეორე ცხოვრება, ხოლო კოტე მარჯანიშვილი მისი სახატე იყო, თან ახლდა უკრაინაში გასტროლების დროს, აი, როგორ იგონებს იმ პერიოდს დიდი ვერიკო ანჯაფარიძე: „მახსოვს, ჩვენი თეატრის გასტროლები უკრაინასა და მოსკოვში. მაშინ ქართული თეატრი პირველად გასცდა რესპუბლიკის საზღვრებს. უკრაინაში მარჯანიშვილს კარგად იცნობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. მარჯანიშვილმა ხომ პირველმა დადგა კიევში რევოლუციური წარმოდგენა და არც იყო გასაკვირი, რომ მას საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით ხვდებოდა. მარჯანიშვილი ბესოს მიმართავდა ხოლმე: „აბა, შენ იცი ბესო, გვასახელე" და ბესარიონი გამოდიოდა, თავმომწონედ ლაპარაკობდა ქართულ თეატრზე, ხელოვნებაზე, უკრაინის ხელოვნებაზე, უკრაინის მწერლობაზე, პოეზიაზე, დიდად მოსწონდა მისი გამოსვლები მარჯანიშვილს, მაშინ ბესო ხომ სულ ახალგაზრდა იყო".

**— და, იმ მოკლე ხანში, მგონი, უკრაინულიც შეისწავლა...**

— შეისწავლა და, ისეთი მეხსიერება ჰქონდა, არც არასდროს დავიწყნია. კარგა ხნის შემდეგ, თბილისში, რომ უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა გაიმართა, დასკვნით საღამოზე ბესომ უკრაინულად ისაუბრა საქართველო-უკრაინის ტრადიციული მეგობრობის შესახებ, რამაც, რა გასაკვირია, სტუმართა აღტაცება გამოიწვია.

**— არა, მეხსიერება, ეტყობა, მართლაც საოცარი ჰქონდა. იგი ხომ „შპარგალკით" არასდროს გამოსულა, ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს...**

— სწორი ბრძანდებით... ერთხელ ცხონებულმა გურამ ფანჯიკიძემ მოიგონა: „მწერალთა ჯგუფი წავედით თბილისიდან სოხუმში ლიტერატურული საღამოს ჩასატარებლად. დაიწყო საღამო და პირველი სიტყვა თანამედროვე აფხაზური მწერლობის შესახებ წარმოთქვა ბესარიონ ჟღენტმა. ბესო ზეპირად ამბობდა არა მარტო აღიარებული და სახელოვანი, არამედ სრულიად ახალგაზრდა, ჯერაც უცნობი აფხაზი პოეტების ლექსებს. გაოგნებული, გაოცებული ვუსმენდით ყველანი, სასტუმროში ვკითხე, ბატონო ბესო, როდის მოასწარით ამ ლექსების დამახსოვრება-მეთქი. თბილისიდან თან წამოვიღე ახალგაზრდა აფხაზი პოეტების ლექსების კრებული, ღამე არ დამეძინა, ვიკითხე და 30 ავტორის ლექსი დავიზეპირეო, მიპასუხა".

**— ქალბატონო ნინო, ცნობილია, რომ ბესარიონ ჟღენტი კომუნისტური ეპოქის, ტოტალიტარული რეჟიმის შვილი იყო, როგორც კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, აქტიურ პროპაგანდას უწევდა საბჭოთა ლიტერატურის პრინციპებს. გასული საუკუნის 30-იანი წლების ქარტეხილებს უვნებლად ვერც მან დააღწია თავი, „კაენის სულის აღზევებამ" მის პიროვნებასაც გვარიანად ავნო, განსაკუთრებით მიხეილ ჯავახიშვილის წინააღმდეგ დაბეჭდილ კრიტიკულ წერილს მოჰყვა ერთობ უარყოფითი რეზონანსი... თაობები იცვლებიან და ბევრს აინტერესებს, ვინ იყო მისი წინაპარი, რით სუნთქავდა და, იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, ღირსეულად გამოვიდა თუ არა იმ ყიამეთიდან...**



**მართალია, შვილი ბრძანდებით, მაგრამ, მოდით, ნუ შევაფერადებთ მშობლის ნამოქმედარს და ობიექტურად ვისაუბროთ 30-იან წლებში ბესარიონ ჟღენტის მოღვაწეობაზე...**

— სხვათა შორის, თქვენ, ცხადია, გეცოდინებათ, საქართველოსთვის მწერალთა კავშირში ტრადიციულ „ორშაბათობებს" მართავს ხოლმე ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი რევაზ კვერენჩხილაძე. იგი საუბრობს რეპრესირებულ მწერლებზე, მათ ბედუკუღმართობაზე, ხშირად არ ერიდება იმათ დასახელებასაც, ვინც ეს ხალხი ნებსით თუ უნებლიეთ გასწირა. არასდროს, ამ საუბრებში ბესარიონ ჟღენტის სახელი უარყოფითად არ გაჟღერებულა. რა თქმა უნდა, იგი არ მოსწონდათ ახალგაზრდა „სამოციანელებს", — „ცისკრელებს", რადგან ბესარიონ ჟღენტი თავისი თაობის, ქართული მწერლობის ტრადიციების დამცველად გამოდიოდა და ვერ ეგუებოდა უცხოურის გავლენას (მაგალითად, ჰემინგუეის, რემარკს), შორს რად იყურებიან, რასაც უცხოელები წერენ და ჩვენთან სიახლე ჰგონიათ, ის უკვე დაწერილი აქვთ ქართველ მწერლებსო, ჩაიხედონ, კარგად წაიკითხონო, ამბობდა ხოლმე. ალბათ, იგი ცდებოდა, მაგრამ ეს იყო ჩვეულებრივი „მამათა და შვილთა" ბრძოლა, და ავკაცობა, აქ არაფერ შუაშია. პირიქით, ახალგაზრდობა ძალიან უყვარდა და, სხვათა შორის, მისი იდეა იყო ჟურნალ „ცისკრის" აღდგენა.

კი, მიხეილ ჯავახიშვილის პიროვნება და შემოქმედება გააკრიტიკა, მაგრამ ამ წერილს მწერლის ყოფნა-არყოფნაზე გავლენა არ მოუხდენია. იგი უკვე ცოცხალთა შორის აღარ იყო. ეს ყოველივე კარგად ესმოდა მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილს — ქალბატონ ქეთევანს, რომელიც ხშირად რეკავდა ჩვენთან, მოიკითხავდა ხოლმე მამაჩემს, რჩევებს სთხოვდა, განსაკუთრებით მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაციის შემდეგ, ხოლო როდესაც მამა გარდაიცვალა, არც მის პანაშვიდებს დაჰკლებია და არც დაკრძალვას.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს და აქ, ალბათ, საჭიროა ერთი ფაქტის გახსენება, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს, თუ რა დიდ პატივს სცემდა მამა მიხეილ ჯავახიშვილის მწერლურ ნიჭს: 1932 წლის აპრილის პირველ ნახევარში მწერალთა სასახლეში გაიმართა ე. წ. „პროზის საწარმოო თათბირი". მისი ანგარიში შეგიძლიათ წაიკითხოთ „სალიტერატურო გაზეთის" მე-9 და მე-10 ნომრებში. თათბირზე ერთ-ერთი მომხსენებელი ბესარიონ ჟღენტი იყო. მისი მოხსენების შემდეგ გამოდიან მწერლები (გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ეს ყოველივე მაშინდელ — 1932 წლის — „სალიტერატურო გაზეთში" წაიკითხოს) და აკრიტიკებენ ბესოს მოხსენებას.

ერთი გამომსვლელი: „ბ. ჟღენტი არა მარქსისტულ-ლენინურ, არა პროლეტარულ მიდგომას იჩენს მიხეილ ჯავახიშვილისადმი, ის მას აფასებს არა როგორც რეაქციონერ მწერალს, არამედ ისეთს, რომელსაც აქვს ცალკეული შეცდომები".

მეორე გამომსვლელი: „ამავე დროს ბ. ჟღენტი ლმობიერებას იჩენს მიხეილ ჯავახიშვილისადმი, რომელსაც დღემდე არ დაუწერია არც ერთი საბჭოთა მოთხრობა".

ხოლო გვიან, უკვე ჯავახიშვილის დახვრეტის შემდეგ, რამ დააწერინა მისი შემოქმედების კრიტიკა, ამას მამა ასე გვიხსნიდა ხოლმე; თქვენ არ გინახავთ, ცოცხალი ლავრენტი ბერია, პენსნედან მისი მზერა. დაგვიბარებდა და ისეთ საბუთებს გადმოგვილებდა ამა თუ იმ მწერლის შესახებ, რომ გაოგნებული ვრჩებოდით, გვიკვირდა, მაგრამ ფაქტი ჯიუტი იყო, ეჭვს ვერაფრით შეიტანდი. ერთხელაც, დაუბარებია მწერლები და ესაუბრება მათ „ხალხის მტრებზე" „სხვაგვარად მოაზროვნეებზე". მამამ, თურმე, გვერდით მჯდომს რაღაც გადაუდაპარაკა. გაცეცხლებულა. ლავრენტი პავლოვიჩი: არც თქვენ ხართ მამა აბრამის ბატკანი, ამხანაგო ჟღენტო!.. ჩვენ ბევრი რამ გაპატიეთ, მაგრამ მორჩა. ველარ ვიქნებით ლმობიერნი თქვენს მიმართ!

წარმოიდგინეთ, რა ხასიათზე გამოვიდოდა მისი კაბინეტიდან საწყალი მამა. სიმწრით ნაყიდი ქუდი იქვე დარჩენია, უკან რაღა მიაბრუნებდა და ზამთრის ყინვაში თავშიშველი უვლია სახლამდე... ის არ იყო გმირი, თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის, ეროვნული მწერლობის მოჭირნახულე, გულმხურვალედ მოყვარული ნიჭიერი კაცი იყო და შეცდომები თუ მოსდიოდა, ამაში, უპირველესად, ის წყობილება და ყურით მოთრეული „საბჭოთა რეალიზმი" იყო მთავარი დამნაშავე... აი, 1957 წლით დათარიღებული, ლიკანიდან გამოგზავნილი სერგო კლდიაშვილის წერილი ბესარიონ ჟღენტისადმი. ნახეთ, ერთ ადგილას რას წერს ბატონი სერგო მამას: „აღარ შემიძლია, ადამიანო, გაგონილა სულ შიში, გარე და შინაგანი ცენზურა, სულ შიში, რომ იდეოლოგიის ხაფანგში სადმე ფეხი არ ვტუცო და არ წავიტეხო?! მომკლა ამდენმა რევერანსებმა, წელში მომხარა. ჰოდა, ხელი თავისუფლად არ მიდის, როცა იძულებული ხარ, რაღაც ხვრელები ძებნო".

ხედავთ? 1937 წელი 20 წლის ჩავლილია, თითქოს „ლღობაა" დაწყებული, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მწერლობა ისევ ლაგამამოდებულია.

**— ჩვენდა საუბედუროდ, — ასე იყო... ქალბატონო ნინო, ამ დღეებში ბატონი ბესოს დაბადების 100 წლისთავი შესრულდა. როგორ ფიქრობთ, გულდაწყვეტილი ხომ არ წავიდა იგი ამ წუთისოფლიდან?**

— არა, რატომ... იგი ბევრ რამეს შეესწრო, მეგობრობდა უდიდეს ადამიანებთან — მწერლებთან, კულტურის, ხელოვნების კორიფეებთან. მის სიტყვას ფასი ჰქონდა, იყო მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გრძნობდა თავისი ხალხის, ახალგაზრდების გულწრფელ სიყვარულს... დარჩა შვილები, შვილიშვილები... არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვენმა დღევანდელმა შემოქმედებითმა ახალგაზრდობამ, შიგადაშიგ ჩახედოს კიდეც ამ კოლორიტული პიროვნების წიგნებს — მოგონებებს, თანამედროვეთა პორტრეტებს... ეს ხომ ისტორიაა, ისტორიის დავიწყება კი არ გვარგებს.

— **ჭეშმარიტად.**

**ვილენ მარდალეიშვილი.**



კონსტანტინე გამსახურდია, სერგი ჭილაია და ბესარიონ ჟღენტი.

## მსოფლიო შტრიხებში

### ბუში ვერ შეაცდინეს

ჯერ კიდევ საბოლოოდ არ შეწყვეტილა აშშ-ს ახლანდელი პრეზიდენტის წინამორბედის — კლინტონის სასიყვარულო თავგადასავლებზე ლაპარაკი და თეთრ სახლში ახალი სკანდალის აგორება მოინდომეს. როგორც ამერიკელი ჟურნალისტისთვის გახდა ცნობილი, თეთრი სახლის ახალი მფლობელის მოხიბვლა სცადა ერთ-ერთმა პრაქტიკანტმა გოგონამ, და, თუ ჭორებს დავუჯერებთ, ეს დემოკრატების „გაიმასქნებულია". მათდა სამწუხაროდ, მოკლეკაბიანმა და ღრმა დეკოლტიანმა ლამაზმანმა ვერ მოხიბლა უმცროსი ბუში.

რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, პრეზიდენტის ნაცვლად ანკესზე ერთ-ერთი მისი ახლობელი ჩინოვნიკი წამოეგო. უკვე ლოგინში ქალმა მას გაუმხილა, რომ სურს პრეზიდენტთან განმარტოვება თუნდაც ნახევარი საათით. გამოჭერილმა თაყვანისმცემელმა თხოვნა არ შეუსრულა. უფრო მეტიც, ამის თაობაზე სიტყვა გადუკრა პრეზიდენტის უშიშროების სამსახურის თანამშრომელს.

უგერგილო ავანტურისტი ქალი წამსვე შეიპყრეს, დაჰკითხეს და თეთრი სახლიდან გააძევეს. ამბობენ, ყველაფერი ისე გაკეთდა, რომ პრეზიდენტს არაფერი შეუტყვიაო.

მართალია, დემოკრატები უარყოფენ თავიანთ კავშირს ამ ინციდენტთან, აგრეთვე, იმასაც, რომ მონიკა ლევინსკის „გმირობის" ერთხელ მაინც გამეორებისათვის ქარაფშუტა ლამაზმანს 100 ათასი დოლარი გადაუხადეს, მაგრამ, „სიზმარი უძილოდ ვის უნახავს"?



### მობილურით — კოღოების წინააღმდეგ

სამხრეთ კორეაში მობილური ტელეფონების პატრონებს ამიერიდან მოსკიტების აღარ შეეშინდებათ: რათა დააფრთხონ ეს პაწაწინა სისხლისმწოველები, საკმარისია, ჩართონ თავიანთ მობილურებში საგანგებო სიგნალი, კოღოები ვერ იტანენ ხმოვან ტალღებს, ტელეფონი რომ გამოსცემს და მის პატრონთან 10 მეტრზე ახლოს ვერ მიფრინდებიან. თუმცა ამ დროს აპარატს უფრო მეტი ენერგია დასჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივი ხმარების დროს.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სპორტი

## გამოცა

**1975 წელს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ და საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ 50 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა ცნობილი სპორტული ჟურნალისტის გარუნ აკოფოვის საინტერესო წიგნი „თბილისის „დინამო“ 50 წლისაა“. პრაქტიკულად ეს წიგნი ქართული ფეხბურთის ფლაგმანის ისტორია იყო.**

მოხდა ისე, რომ 1976 წლიდან დაიწყო ქართული ფეხბურთის არნახული აღმავლობა. თბილისის „დინამომ“ მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ორჯერ დაეუფლა საბჭოთა კავშირის თასს (1976 და 1979 წლებში), 1978 წელს მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული, ხოლო 1981 წლის 13 მაისს ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს უზარმაზარი სიხარული აჩუქა და ეს წარმატებები დააგვირგვინა დიუსელდორფში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით – ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასს დაეპატრონა. ეს იყო ქართული ფეხბურთის ტრიუმფი. ყველაფერი ეს, ბუნებრივია, მატიანეში არ შესულა. ამიტომ აუცილებელი იყო დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და წიგნის გაგრძელება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ადვილი საქმე.

1998 წლის 31 იანვარს სულმნათი ნოდარ ახალკაცის დაკრძალვაზე შემხვდა ამ წიგნის ავტორი გარუნ აკოფოვი. მისალმების და ურთიერთმოკითხვის შემდეგ, ცხადია, საუბარი ფეხბურთზე ჩამოვარდა და ამ წიგნსაც შეეხო. მე ბ-ნ გარუნს ვკითხე ხომ არ აპირებდა ამ წიგნის გაგრძელებას. სპონსორი არ ჩანდა და წიგნის გაგრძელების პერსპექტივა ბურუსით მოცული რჩებოდა. როგორც ჩანს, სპონსორი ბოლოს და ბოლოს მაინც მოიძებნა და კარგი საქმე შუა გზაზე არ იქნა მიტოვებული. ფეხბურთის მოყვარულმა მიიღო შესანიშნავი წიგნი, რომელიც ფაქტობრივად, თბილისის „დინამოს“ მატიანეს წარმოადგენს. აქ მოთხრობილია ყველაფერი. საქართველოში ფეხბურთის ჩასახვიდან დღემდე.

წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ეხება საქართველოში ფეხბურთის დაბადებას, მის პირველ ნაბიჯებს. ეს მონაკვეთი წიგნში ერთ-ერთი საუკეთესოა. მეორე ნაწილი წიგნში ყველაზე უფრო წონიანია და შეეხება ქართული ფეხბურთის ისტორიაში ჯერჯერობით ყველაზე უფრო საინტერესო ხანას – საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს“ გამოსვლებს 1936-1989 წლებში. და ბოლოს, მესამე ნაწილი ჯერჯერობით ყველაზე უფრო ხანმოკლეა იგი. სულ 14 წელიწადს მოიცავს. აქ საუბარია თბილისის „დინამოს“ გამოსვლებზე ეროვნულ ჩემპიონატში. პრაქტიკულად ეს არის ქართული ფეხბურთის ისტორიის პერიოდიზაცია.

თბილისის „დინამომ“ საკავშირო სარბიელზე გამოსვლის პირველი დღიდანვე უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა და მათ ჯერ კიდევ შორეულ 30-იან წლებში „დიდი ურუგვაელები“ უწოდეს იმ ხანებში, როდესაც ურუგვაის ნაკრები ქუხდა (ისინი ორჯერ 1924 და 1928 წელს გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები, ხოლო 1930 წელს მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა). ამაზე მეტი ქების დამსახურება წარმოუდგენელი იქნებოდა.

საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ გამოსვლა დრამატიზმით აღსავსე იყო და გულშემატკივარს უზარმაზარ სიხარულთან ერთად დიდი გულისტკივილი მოუტანა, რაც უმთავრესად იმით გამოიხატებოდა, რომ თბილისის „დინამო“ ხშირად სრულიად უსამართლოდ დაჩაგრულა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1953 წელს თბილისის „დინამოს“ უკვე მოპოვებული ჩემპიონობა წაართვეს, და მატჩი ხელახლა გადაათამაშებინეს. ძნელია დაივიწყო უკრაინელი მსაჯის ცაპოვეცკის არაობიექტური მსაჯობა მოსკოვის „ტორპედოსთან“ ულამაზეს და დრამატულ ფინალურ მატჩში საბჭოთა კავშირის თასზე 1960 წლის 31 ოქტომბერს და სხვა მრავალი. მაგრამ სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს. უნდა დავეთანხმოთ ლეგენდარულ რუს ფეხბურთელს, მოსკოვის „ტორპედოს“ გამოჩენილ ფორვარდს ვალენტინ ივანოვს, რომ „ქართული ფეხბურთი არის საბჭოთა ფეხბურთის მარგალიტი“. ვინ-ვინ და ვალენტინ ივანოვმა შესანიშნავად იცის კარგი ფეხბურთის ფასი. ჩვენი აზრით, ეს სიტყვები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს“ გამოსვლის თავისებურ რეზიუმედ შეიძლება მივიჩნიოთ.

ცხადია, წიგნში ყველაზე უფრო საინტერესო, ვნებათაღელვის გამომწვევი, და თუ გნებავთ, ერთგვარად ნოსტალგიურიც, არის მეორე ნაწილი, სადაც საუბარია თბილისის „დინამოს“ გამოსვლებზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში. ამიტომ ამ თემაზე ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით.

ნურავინ წარმოიდგენს ისე, თითქოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ გამოსვლა მხოლოდ ტრიუმფალურ ხასიათს ატარებდა და გუნდს არ ჰქონია წარუმატებლობები, ჩავარდნები.

დიდი სახელი ჯერ კიდევ ომამდელმა „დინამომ“ მოიპოვა, რომლის რიგებში ბრწყინავდნენ ალექსანდრე დოროხოვი, შოთა შავგულიძე, მიხეილ ბერძენიშვილი, გაიოზ ჯეჯელავა და რა თქმა უნდა, „ფეხბურთის კარუზო“, ლეგენდარული ბორის პაიჭაძე, რომლის ბადალი ქართულ ფეხბურთში ჯერ არ გამოჩენილა. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ თუ არა ნაცისტურ გერმანიასთან ომი, შესაძლოა, უკვე ამ თაობას დაემშვენებინა მკერდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებით, მაგრამ ომმა დროებით შეწყვიტა სპორტული ცხოვრება.

ომის შემდეგ ძველ გვარდიას გვერდში ამოუდგა ახალი თაობა, რომელთა შორის ყველაზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავი იყო ლეგენდარული ბასა ღოღობერიძე, რომლის დამსახურებაც ქართული ფეხბურთის წინაშე განუზომლად დიდია. ომის შემდგომი „დინამოს“ წარმატებების ზენიტს, პიკს წარმოადგენს 1953 წლის საკავშირო ჩემპიონატი, როდესაც „დინამოს“ სულ რაღაც ერთი ნაბიჯიღა დააკლდა სანუკვარ ოცნებამდე. გუნდს მოსკოვის „ტორპედოსთან“ მოგებული მატჩი გადაათამაშებინეს და ჩემპიონის ოქროს მედლები დააკარგვინეს. 50-იანი წლების შუა ხანებში „დინამო“ სერიოზულმა კრიზისმა მოიცვა, რაც უპირატესად თაობათა ცვლით იყო განპირობებული. გუნდი მისთვის უჩვეულო VIII-IX ადგილებს იკავებდა.

1959 წლიდან იწყება ახალი აღმავლობა, როდესაც გუნდში მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდების მთელი პლეადა. დაიწყო ახალი ვარსკვლავთცვენა, რომელსაც ქართული ფეხბურთი, უპირველეს ყოვლისა, ანდრო ჟორდანიას უბადლო სელექციურ ინტუიციას უნდა უმადლოდეს. თანდათან იკვეთება 1964 წლის „დინამოს“ კონტურები. ეს გუნდი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი იყო და მას მხოლოდ 1981 წლის ნოდარ ახალკაცის „დინამო“ შეიძლება შევადაროთ.

თაობათა ცვლას მოჰყვა ჩავარდნა. კრიზისმა მკვეთრად გამოკვეთილი სახე მიიღო 1974 და 1975 წლების სეზონში, როდესაც „დინამო“ ადგილს იკავებს სატურნირო ცხრილის შუაგულში.

ახალი აღმავლობა დაიწყო 1976 წელს, როდესაც გუნდს სათავეში ჩაუდგა ქართული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი. მან უკვე მრავალნაცადი შოთა ხინჩაგაშვილის, მანუჩარ მაჩაიძის, ვლადიმერ გუცაევის და დავით ყიფიანის გარშემო დაიწყო ახალი გუნდის ფორმირება. კვლავ დადგა ვარკვლავთცვენის ხანა. ამ თაობამ, ნოდარ ახალკაცის თაოსნობით, ქართული ფეხბურთი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა. ეს იყო ქართული ფეხბურთის წარმატებების აპოგეა, მწვერვალი.

## წიგნი თბილისის „დინამოზე“




იხ. მე-10 გვ.

## თემის გაგრძელება

### კაიეტანო როდრიგესი:

## „ვიცნობ ქართულ ფეხბურთს“



*ახლახან „ლელოში“ (№51) მკითხველს წარვუდგინეთ, მსოფლიოში ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი კაიეტანო როდრიგესი. ეს კაცი არგენტინის ნაკრებში მუშაობდა მწვრთნელად სესარ ლუის მენოტისთან ერთად. აქვს უდიდესი გამოცდილება.*

*ხსენებული პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციაში ბევრი დაგვიკავშირდა. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვეძლო მათი ინტერესების სრულად დაკმაყოფილება მთელ რიგ საკითხებში და გადავწყვიტეთ ინტერნეტის საშუალებით შევხმიანებოდით ცნობილ არგენტინელ მწვრთნელს. ცხადია, ვისარგებლეთ შემთხვევით და რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო კითხვითაც მივმართეთ კაიეტანო როდრიგესს. პასუხი დაუყოვნებლივ მივიღეთ. ჩვენ ვწერდით:*

**ბატონო როდრიგეს, თქვენ მოგმართავთ საქართველოში უძველესი სპორტული გაზეთი „ლელო“ (გამოდის 1934 წლიდან), რომლის ფურცლებზეც გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია თქვენს შესახებ, რამაც მკითხველთა ფართო წრის ყურადღება მიიქცია. ვითვალისწინებთ რა მათ ინტერესებს, თავს უფლებას ვაძლევთ, მოგმართოთ რამდენიმე შეკითხვით.**

**1. თქვენ, როგორც ბრწყინვალე სპორტული ბიოგრაფიის პიროვნებას, გაქვთ თუ არა სურვილი იმუშაოთ მწვრთნელად საქართველოში?**

**2. რა იცით საქართველოსა და ქართული ფეხბურთის შესახებ?**

**3. რა პოტენციას და შესაძლებლობებს ხედავთ ქართულ ფეხბურთში და შედის თუ არა იგი თქვენი ინტერესების სფეროში?**

**4. მხოლოდ ნაკრებთან ისურვებდით მუშაობას თუ ნებისმიერ კლუბთან, მიუხედავად მისი დონისა და რამდენი დრო დაგჭირდებათ სასურველი შედეგის მისაღწევად?**

რედაქციამ ამ შეკითხვებზე მიიღო ერთიანი ტექსტობრივი პასუხი, რასაც ქვემოთ გთავაზობთ უცვლელად.

**ბ-ნ თენგიზ გაჩეჩილაძეს,**
**სპორტული გაზეთის „ლელოს“**
**მთავარ რედაქტორს.**

– უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის უპრეცედენტოა ასეთი სახის ჟურნალისტური წერილი და, ამასთანავე დიდი პატივია, რომ გაზეთი ასეთი მანძილიდან დაინტერესდა იმით, რომ გაიგოს ჩემი აზრი საქართველოს ფეხბურთზე. და მე როგორც პროფესიონალი, მადლობას გიხდით და დიდად ვაფასებ ამ ყურადღებას.

ყველასთვის, ვინც ვმონაწილეობდით საერთაშორისო შეჯიბრებებში და ჩემთვისაც, ნათელია თუ რა დიდი წვლილი შეიტანა ქართულმა ფეხბურთმა სსრ კავშირის ნაკრებში, კერძოდ, სულაქველიძემ, ჩივაძემ და ბევრმა სხვა მაღალი კლასის ფეხბურთელმა, ახლა რაოდენ დიდია კალაძის დამსახურება მილანში და სხვ...

ეს მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს შესანიშნავი მოთამაშეები. მას შემდეგ, რაც თქვენმა ქვეყანამ დაიბრუნა დამოუკიდებლობა, სხვა უპირატესობებიც ვლინდება. ერთის მხრივ, ფეხბურთი საქართველოში – ეს არის კულტურული ფენომენი. სახელმწიფომ და საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კარგი ინფრასტრუქტურის შექმნაში. ამასთან, ცხადია, საჭიროება მოითხოვს კარგ დამრიგებლებს, ფინანსებს, რაც საშუალებას მისცემს თქვენში ფეხბურთის მუდმივ განვითარებას, ამისათვის კიდევ საჭიროა მუშაობის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ხშირი მონაწილეობა შეჯიბრებებში.

იდეალური იქნება ეროვნულმა ან ახალგაზრდულმა (ოლიმპიური) ნაკრებმა გუნდებმა გამოცდილება მიიღონ უცხოეთის ქვეყნებში. ნაკრები გუნდებისთვის საჭიროა გარკვეული დრო, რომ მიაღწიოს შესაბამის დონეს დადებითი შედეგებით, რაც აამაღლებს საკუთარი ძალების რწმენას. უმჯობესია, რომ ძირითადად ერთი და იგივე შემადგენლობამ ითამაშოს ყოველთვის ნაკრებში, როგორც კლუბებში. ერთი წლის მუშაობის მანძილზე უნდა გამოიკვეთოს არსებითი სასიკეთო ცვლილებები ნაკრების დაკომპლექტებაში.

თუ ეს იქნება უმაღლესი ლიგის საკლუბო გუნდი, მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთ წელიწადში იგი საკმაოდ გაძლიერდება, მაგრამ არ შემიძლია გითხრათ, რამდენად, რაც დაკავშირებულია ბევრ ფაქტორზე. ამის გარდა, არ არის მიზანშეწონილი, წინასწარ გავაკეთო პროგნოზი, თუ არ ვიცნობ გუნდის შემადგენლობას.

როგორც პროფესიონალს, სურვილი მაქვს საქართველოში მუშაობის, დიდი ტემპერამენტისა და მაღალი კულტურის მქონე ევროპის ქვეყანაში.

რა თქმა უნდა, თუ იქნება შემოთავაზებული საჭირო სახელშეკრულებო პირობები.

გაცნობებთ, რომ ბ-ნ ნიკო პატარქალიშვილს და მის ორგანიზაციას უფლებამოსილება გააჩნია, მოლაპარაკებები წარმართოს ჩემსა და ჩემს მწვრთნელთა შემადგენლობაზე, სხვადასხვა ხელშეკრულებების გასაფორმებლად.

იმედს გამოვთქვამ, ვაკმაყოფილებ თქვენს დავალებას და თუ თქვენ ჩათვლით საჭიროდ, რომ უფრო ვრცელი ინფორმაცია მოგაწოდოთ, დიდი სიამოვნებით გემსახურებით.

**გულისხმიერი სალმით**
**კაიეტანო როდრიგესი.**

„ლელო“, №54, 2003 წ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თაობა



**შაბათს სტამბოლში დაიწყო 1985 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპი. კონტინენტის 16 საუკეთესო გუნდს შორის მედლებისთვის საქართველოს ნაკრებიც იბრძვის, რომელიც უმთავრესად დაკომპლექტებულია 15-16 წლის სპორტსმენებით. ერთ-ერთი გახლავთ ახლო წარსულში თბილისის „დინამოს" ცნობილი წყალბურთელის შოთა ბაღათურიას ვაჟი მიხეილი.**

**შოთა ბაღათურია 1981-1991 წლებში თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა, მიწვეული იყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ და საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს" ნაკრებ გუნდებში. 1987 წელს მან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე იასპარეზა და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. 90-იან წლებში ჩვენთან დატრიალებული ცნობილი მოვლენების შემდეგ რამდენიმე წყალბურთელთან ერთად უცხოეთს მიაშურა სათამაშოდ და სპორტული ოსტატობის ასამაღლებლად 1991-1993 წლებში საარბრიუკენის (გერმანია) „პოსეიდონში" გამოდიოდა I ბუნდესლიგის პირველობაზე. მისი გუნდი V-VI ადგილებზე გადიოდა.**



# კვიცი — გვარზე

— რომ ვნახე, საქართველოში ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბების პირობები კიდევ დიდხანს არ იქნებოდა, წყალბურთს შევეშვი და შინ დავბრუნდი, სხვა საქმეს მოვკიდე ხელი, რადგან ოჯახი მყავდა სარჩენი, — მითხრა ბატონმა შოთამ, რომელიც სტამბოლში გამგზავრებამდე ვაჟიშვილთან ერთად მესტუმრა რედაქციაში. — გული მწყდება, რომ ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვავლინე, მაგრამ სევდას ის მიქარვებს, რომ ჩემს ვაჟს და მის მეგობრებს მიეცათ საშუალება, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს სპორტული ღირსება დაიცვან.

— მე რომ წყალბურთელი ვარ, ეს მამაჩემის დამსახურებაა, — განაგრძო მამის საუბარი შვილმა, — მან მიმიყვანა „ლაგუნა ვერეში" ცურვის შესასწავლად.

ეს იყო ათი წლის წინათ. მაშინ მიხეილ ბაღათურია მხოლოდ 6 წლის იყო (იგი 1987 წლის 9 მაისს არის დაბადებული და თბილისის 101-ე სპორტული სკოლის მე-10 კლასში სწავლობს). 3 წლის შემდეგ წყალბურთზე დაიწყო სიარული გოგა დოლიძესთან. 2000 წლიდან სოსო მაისურაძესთან ვარჯიშობს. იმავე წელს საქართველოს პირველობა მოიგო 1985 და 1987 წლებში დაბადებულთა შორის. მომდევნო წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩემპიონი გახდა. შარშან მიხეილმა და მისმა მეგობრებმა ორ ასაკობრივ ჯგუფში (1984-85 და 1986-87 წ.წ.) იზეიმეს გამარჯვება რუსეთის პირველობებზე.

2003 წელს უკრაინის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა საქართველოს ახალგაზრდული გუნდი (ფაქტობრივად, „ლაგუნა ვერე"), რომლის შემადგენლობაში მიხეილ ბაღათურიაც იყო. ჩვენი წყალბურთელები ფინალურ ოთხეულში გავიდნენ და „პლეიოფებში" თამაშის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ დასკვნით ეტაპზე გამგზავრება ვერ შეძლეს, რადგან იმ დროს შტუტგარტში (გერმანია) ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირი გაიმართა, სადაც ჩვენმა ბიჭებმა II ადგილი დაიკავეს და ფინალის საგზურიც დაიმსახურეს. ამას წინათ კი სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე მესამენი იყვნენ.

— ყველა წარმატება სასიამოვნოა, მაგრამ განსაკუთრებით შარშანდელი გამარჯვებები მინდა გამოვყო, — მითხრა მიხეილმა. — მოსკოვში ჯერ 1984-85 წლებში დაბადებულთა ფინალური ტურნირი მოვიგეთ აპრილის მიწურულს და თითქმის შეუსვენებლად მეორე შეჯიბრებაში ჩავებით. იქ შედარებით ჩვენი თანატოლები გამოდიოდნენ. ფინალში ვოლგოგრადის „ლუკოილ-სპარტაკს" შევხვდით სწორედ ჩემი დაბადების დღეს — 9 მაისს. ბიჭებმაც განსაკუთრებით მოინდომეს, გავიმარჯვეთ და ჩემპიონები გავხდით. რუსი მაღალჩინოსნები ისე გაბრაზდნენ, რომ წლეულს თავიანთ პირველობებზე აღარ მიგვიწვიეს. არც გაემტყუნებათ — სამი წელიწადია, ჩვენთან ყველა შეჯიბრებას აგებენ.

**— შტუტგარტის შესარჩევ ტურნირზე რას იტყვი?**

— თავიდანვე შევეგუეთ იმ აზრს, რომ ფინალური ეტაპის ერთ საგზურს მასპინძლები მოიპოვებდნენ. მეორე ადგილის დასაკავებლად კი რუმინელთა ძლიერი გუნდის დამარცხება იყო საჭირო. პირველი ორთაბრძოლა სწორედ მათთან გვქონდა. თავიდან 2:0 დავწინაურდით. მეტოქემ რამდენჯერმე აღადგინა წონასწორობა. ძირითადი დროის საფინალო სასტვენმა მაშინ მოგვისწრო, როცა ანგარიში იყო 8:8. ახალი წესებით დაინიშნა ორი სამ-სამწუთიანი ტაიმი. მე-6 წუთზე გურამ კოტარიამ მე-9 გოლი გაიტანა. დარჩენილი 40 წამის განმავლობაში ბევრი რამ გადავიტანეთ. სრულიად უწყინარ სიტუაციაში მსაჯებმა ილია ბუტიკაშვილი გაგვიძევეს. რუმინელთა დარტყმული ბურთი ზურაბ ჭუმბურიძემ რომ მოიგერია, არბიტრებმა ახლა იგი გაუყენეს ილიას გზას. დავრჩით ოთხნი ექვსის წინააღმდეგ. ჩვეულებრივ, ეს წაგების ტოლფასია, მაგრამ ბიჭებმა გაუძლეს მეტოქის 20-წამიან იერიშს და გამარჯვების მაუწყებელი ანგარიში შევინარჩუნეთ. მეორე მატჩში ბელორუსებს ვძლიეთ 11:4. მართალია, ბოლო შეხვედრაში მსაჯებმა „ჩაგვძირეს" — 8:9 წავაგეთ მასპინძლებთან, მაგრამ ფინალის საგზური მაინც მოვიპოვეთ.

**— სამომავლოდ რას აპირებ?**

— ახლა მთავარია, სტამბოლში 18-წლიანთა ევროპის პირველობაზე გამოვიდეთ ღირსეულად. ძლიერი მეტოქეები გვყავს ჯგუფში, ჩვენზე უფროსებიც არიან 2-3 წლით, მაგრამ უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობთ.

სექტემბერში კი ბიჭებთან განშორება მომიწევს, რადგან მოსკოვის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდში ვარ მიწვეული და იქ გავემგზავრები. რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ვითამაშებ, რაც დაოსტატებაში დამეხმარება. საქართველოს ნაკრები რომელიმე მნიშვნელოვან ტურნირში თუ იასპარეზებს და მწვრთნელები საჭიროდ ჩათვლიან, მე კვლავ ჩვენი ბიჭების გვერდით ვიქნები.



ესაუბრა

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: მეტოქის კარს უტევს მიხეილ ბაღათურია; მამა შვილს სპარინგ-პარტნიორობას უწევს; „ლაგუნა ვერეს" გუნდი, რომელიც ახლა სტამბოლში ევროპის პირველობაზე თამაშობს.**

**ავტორის ფოტო.**

მწვრთნელი

# „დევიდ ბექჰემი უცხოპლანეტელია"

***გულშემატკივრებს აინტერესებთ, რა შეცვლის მადრიდის „რეალში" მისი ახალი პორტუგალიელი ხელმძღვანელი კარლოშ კეირუში. მან სახელი პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობის დროს მოიხვეჭა, როცა რამდენჯერმე გახდა ევროპის ჩემპიონი, ბოლო წლებში კი „მანჩესტერ იუნაიტედში" ალექს ფერგიუსონს ეხმარებოდა.***

**— რა ცვლილებებს მოახდენთ კლუბის საწვრთნელ პროცესში?**

— ამიერიდან ვარჯიშები რაიმე მტკიცე განრიგს აღარ დაექვემდებარება. ჩვენთვის მთავარი იქნება გუნდის მატჩების კალენდარი და მოთამაშეების მზადყოფნის დონე. თუკი, მაგალითად „რეალი" იძულებული იქნება მოსკოვში იფრინოს და ფეხბურთელები იქიდან ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დაღლილები დაბრუნდებიან, მე მათ დასვენების დღეს მივცემ. ვიმეორებ, ჩვენ აღარ მივდევთ ზუსტ განრიგებს და ვარჯიშების მაინცდამაინც გარკვეულ დროში გამართვის წესს. ერთი სიტყვით, ვიმოქმედებთ ისე, როგორც საჭირო იქნება.

**— თქვენი სიტყვით, გუნდს ყოველთვის უნდა ჰყავდეს 21-22 ფეხბურთელი, დარჩება თუ არა აქ ადგილი მორიენტესისათვის?**

— ვფიქრობ, დარჩება.

**— გუტისათვის?**

— ასევე გუტისათვისაც. მე ძალიან მომწონს ეს ფეხბურთელი. იგი ნამდვილად ფანტასტიკური მოთამაშეა, შეუძლია იმოქმედოს მინდვრის ცენტრში, ასევე შეტევაში, შეუძლია დაეხმაროს თავდამსხმელებს. არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებიც თითქოს ვერ ხვდებიან ძირითადი თერთმეტის რიცხვში, მაგრამ, ამის მიუხედავად, ხშირად მონაწილეობენ თამაშებში და გუნდშიც თვალსაჩინო როლს ასრულებენ. გუტი კი სწორედ ასეთია.

**— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გუტის ხშირად ვიხილავთ მინდორზე?**

— ვნახოთ. ახლა კი მხოლოდ ერთი რამის თქმა მინდა: დეე, არც ერთ ფეხბურთელს არ ჰქონდეს რაიმე პრივილეგიის იმედი.

**— ვერ გადაწყვიტეთ, სად ითამაშებს დევიდ ბექჰემი?**

— მინდორზე და მადრიდის „რეალში".

**— დიახ, მაგრამ რომელ პოზიციაზე?**



— „მანჩესტერ იუნაიტედში" იგი ყოველთვის მარჯვენა ნახევარმცველი იყო. ინგლისის ნაკრებში ზოგჯერ ნახევარდაცვის ცენტრში გამოდიოდა. ჩვენ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ, ჯერ მას ვარჯიშების დროს უნდა დავაკვირდეთ. თუმცა კი დევიდი ისეთი ოსტატია, რომ ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში.

**— უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ინგლისელ ფეხბურთელებს ესპანურ კლუბებში მაინცდამაინც არ უმართლებდათ.**

— ბექჰემი ინგლისელი არ არის. იგი უცხოპლანეტელი ფეხბურთელია, სხვა გალაქტიკის წარმომადგენელი.

**— გამოიყვანთ თუ არა ხანდახან მინდორზე სამ ცენტრალურ მცველს?**

— მე არ ვარ ამ სისტემის მომხრე. ჩემთვის ოპტიმალურია სქემა 4-4-2.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ელიტა

# რაულთან კონფლიქტი მოგვარდა

*„რეალის“ კაპიტანი რაული, როგორც ვიუწყებოდით, ძალზე განაწყენდა, როცა კლუბის მეპატრონემ ფლორენტინო პერესმა დაითხოვა მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე და ვეტერანი მცველი ფერნანდო იერო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ რაული გუნდის დატოვებით იმუქრებოდა, რასაც გულშემატკივარი არ დაუშვებდა. ბოლოს კონფლიქტი მაინც მოგვარდა: „რეალის“ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ხელი აეღო თავდამსხმელ ფერნანდო მორიენტესის გაყიდვაზე, რომელიც რაულის უახლოესი მეგობარი და ხელისმომკიდეა.*

*ახლა კი რამდენიმე ნაწყვეტი რაულის ბოლო ინტერვიუდან.*

**— როგორია თქვენი დამოკიდებულება დევიდ ბექჰემის კონტრაქტისადმი?**

— ბექჰემს ნუ ექნება იმედი, რომ ახალი თანაკლუბელები რაღაც განსაკუთრებულად მოექცევიან. რონალდოს, ზიდანს, ფიგუს, რობერტო კარლოსს და სხვებს თავიანთი წვლილი შეაქვთ გუნდის წარმატებებში. დევიდი ვალდებულია, დაიცვას ჩვენი წესები.

**— თქვენი აზრით, საჭირო იყო „რეალის“ ხელმძღვანელობას ეყიდა კიდევ ერთი საერთაშორისო კლასის მოთამაშე?**

— დიახ, ჩვენი შემადგენლობა დიდებული მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ ისეთი ფეხბურთელის შეძენა, როგორიც ბექჰემია, მსოფლიოს არც ერთი კლუბისათვის არ იქნება ზედმეტი. ეჭვგარეშეა, იგი



გააძლიერებს ჩვენს გუნდს. ჭორების მიუხედავად, ჩვენ ერთი, მთლიანი კოლექტივი ვართ.

**— დევიდ ბექჰემთან ერთად „სამეფო კლუბს“ მოახლოებულ სეზონში შეეძლება გაიმარჯვოს ყველგან, სადაც ითამაშებს?**

— ფეხბურთში ასე იოლად არასოდეს არის საქმე. წოდებებისა და ჯილდოების მოსაპოვებლად მთელი ძალებით უნდა ვიბრძოლოთ. შარშან რონალდო რომ შემოგვემატა, ეგონათ, ყველა ტურნირში უყოყმანოდ გავიმარჯვებდით. სეზონი დამთავრდა და ცხადი გახდა, რომ სულაც არ არის ასე საქმე. ჩვენ ვერ მოვიგეთ ჩემპიონთა ლიგა. ახლა, როცა ჩვენთან ბექჰემმა დაიწყო თამაში, ხშირად გვესმის, რომ ამიერიდან პრობლემები აღარ გვექნება. ეს სახიფათო შეცდომა გახლავთ.

**— როგორ ეჩვევა ბექჰემი ესპანეთს?**

— დარწმუნებული ვარ, რომ დევიდი დაძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას. როგორც ვიცი, იგი ეჩვევა მადრიდში ცხოვრების პირობებს. „რეალის“ ფეხბურთელებიც დავეხმარებით, თავი ახალ ატმოსფეროში კარგად იგრძნოს და მალე შეეწყოს კოლექტივს. თუმცა, მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენთვის მთავარია გუნდის ინტერესები და, რაიმე გამონაკლისს არავინ დაუშვებს.

# მაღაც ამას ჰქვია

**ინგლისური პრესა რუს მილიარდერ რომან აბრამოვიჩს ახლა იმდენ ადგილს უთმობს, თითქოს მხოლოდ მის ხელში იყოს მთლიანად ინგლისური სპორტისა, და, კერძოდ, ფეხბურთის ბედიღბალი.**

დღე არ გავა, რომ აბრამოვიჩმა „ჩელსისთვის“ რომელიმე ფეხბურთელი არ შეიძინოს ან ცნობილი „ვარსკვლავებისათვის“ მოლაპარაკება არ დაიწყოს. როგორც თვით მილიარდერმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, მისი მიზანია „ჩელსი“, ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ „არისტოკრატების კლუბი“, მსოფლიოში უძლიერესად აქციოს და მთლიანად ვარსკვლავებით დააკომპლექტოს. „სანდი ტაიმსს“ ჩუკოტკის გუბერნატორმა, რომელმაც, სხვათა შორის, ლონდონის მეტად პრესტიჟულ რაიონში მიწაც შეიძინა, განუცხადა, რომ დღეისათვის „ჩელსის“ სადღაც „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის ხედავს.

— რახან ჩემი უახლოესი მიზანია, „ჩელსი“ ევროპაში უძლიერესი გავხადო, კლუბში მსოფლიოში საუკეთესო მოთამაშეებს მოვიწვევ.

თურმე სათანადო სიაც არსებობს და აბრამოვიჩიც არაფერს მალავს.

მისი საყვარელი ფეხბურთელი ყოფილა ტიერი ანრი. მან „არსენალს“ 50 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი შესთავაზა, მაგრამ ანრის გაყიდვა „არსენალისათვის“ ყელის გამოჭრას ნიშნავს და, ცხადია, მილიარდერმა უარი მიიღო, როგორც ამბობენ, ჯერჯერობით, შემდეგ კი ვნახოთ... აგრეთვე, ასახელებენ „რკინისებურ მცველ“ სოლ კემპბელს. რა თქმა უნდა, არც პატრიკ ვიერასა და რობერტ პირესის მოწვევა იქნებოდა ურიგო. ზოგი მიმომხილველი ასახელებს „მილანის“ მოთამაშეებს ალექსანდრე ნესტას, ანდრეი შევჩენკოსა და რივალდოს, ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელს ლილიან ტიურამს, ედგარ დავიდსსა და პაველ ნედვედს, ამსტერდამის „აიაქსიდან“ — კრისტიან კივუსა და რაფაელ ვან დერ ვაარტს. ესპანეთის ჩემპიონატში აბრამოვიჩს მოსწონს პაბლო, აიმარი („ვალენსია“) და პატრიკ კლაივერტი („ბარსელონა“), ჯო კოული („ვესტჰემ იუნაიტედი“), სკოტ პარკერი („ჩარლტონ ატლეტიკი“).



ამასობაში მსოფლიოს ნაკრები ხომ არ გამოვიდა? საინტერესოა, რომ ჯერჯერობით არაფერია ნათქვამი მადრიდის „რეალის“, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ მოთამაშეებზე.

ინგლისის პრესაში გამოჩნდა ისეთი ცნობებიც, რომ აბრამოვიჩი გააკეთებს ყველაფერს, რასაც მოისურვებს. მას ხშირად ადარებენ ინგლისელ მაგნატ ჯეკ უოკურს, რომელმაც 80-იანი წლების მიწურულში შეიძინა დაბალ ლიგებში მოთამაშე „ბლეკბერნ როვერსი“, მწვრთნელად მოიწვია განთქმული ოსტატი კენი დალგლიში და იმდენი ფული მისცა, რამდენიც ამ უკანასკნელმა მოითხოვა. ვთქვათ ისიც, რომ მაშინ ფეხბურთის ვარსკვლავების ფასი გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ახლა. დალგლიშმა მაშინ ისეთი მოთამაშეები შეიძინა, რომ 1995 წელს „ბლეკბერნი“ ინგლისის ჩემპიონი გახდა.

აბრამოვიჩს, ინგლისელების შეფასებით, ათჯერ მეტი ფული ჰქონია, ვიდრე უოკერს. ასეთი მაგნატი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს შედარებით „მოკრძალებული“ რეპუტაციის მწვრთნელით, როგორიცაა იტალიელი კლაუდიო რანიერა. მან ინგლისის უკანასკნელ ჩემპიონატში „ჩელსის“ მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუტანა. მართალია, მილიარდერმა განაცხადა, რომ რაინერის არ შეცვლის, მაგრამ ახალი მწვრთნელის ძებნა მაინც დაიწყო. კერძოდ, ლაპარაკია განთქმულ იტალიელ ფაბიო კაპელოზე, თუმცა კაპელო თითქოს „რომაში“ დარჩენას ამჯობინებს. ამ დღეებში აბრამოვიჩი შეხვდა ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელს სვენ-გორან ერიქსონს (ეს, ისე მომავლისათვის?) და ცნობილ ებრაელ საფეხბურთო აგენტს პინი ზახავის. ასახელებენ ექტორ კუპერსაც, რომელსაც ყველაფერი წესრიგში არა აქვს მილანის „ინტერში“ და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ლუის ვან გაალს.

აქეთური, იქეთური



## აშვეთიას „კოპენჰაგენთან“ აღარაფერი ესაქმება

**საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში“ იჯარის უფლებით თამაშობდა, თუმცა, იურიდიულად „კოპენჰაგენს“ ეკუთვნოდა.**

აი, მოსკოვის „ლოკომოტივმა“ კი, სადაც აშვეთია ახლა გამოდის, აღარ მოისურვა იჯარის უფლების გამოყენება. მან ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერი მთლიანად გამოისყიდა. ამრიგად, აშვეთიას „კოპენჰაგენთან“ უკვე აღარაფერი ესაქმება.

## გახსოვთ ბენ ჯონსონი?

**იტალიის „სერია ა“-ს კლუბ „პერუჯას“ მწვრთნელად ფიზიკურ მომზადებაში დაინიშნა განთქმული კანადელი მძლეოსანი ბენ ჯონსონი. ის უკვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. შეგახსენებთ, რომ ამ სპორტსმენმა 1988 წლის ოლიმპიადაზე ჯერ ჩემპიონობა მოიპოვა 100 მეტრზე რბენაში, შემდეგ კი დოპინგის გამოყენება დაუმტკიცეს და ოქროს მედალი ჩამოართვეს. გავიდა ხანი და ჯონსონს საერთოდ აუკრძალეს შეჯიბრებებში მონაწილეობა.**



როგორ აღმოჩნდა შერისხული სპორტსმენი „პერუჯაში?“ საქმე ის არის, რომ იგი კარგა ხანია, დაუახლოვდა ლიბიის ლიდერ მუამარ კადაფის. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ კადაფის შვილმა, 29 წლის ალ-საადი კადაფიმ ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა „პერუჯასთან“. სწორედ, რომ ბენ ჯონსონმა მოამზადა ეს ფეხბურთელი ფიზიკურად 3-თვის განმავლობაში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

## რა გამოასწორებს ტაისონს?

**რუსული ციხე, — ასე ფიქრობს წარსულში გამოჩენილი მოკრივე ბორის ლაგუტინი, მართლაცდა, რამდენჯერ დააპატიმრეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი: ხან ქალების ცემისათვის, ხან — გაუპატიურებისათვის, ქუჩაში ჩხუბისათვის. არაფერი გამოდის, ჭკუას ვერ სწავლობს...**

ამ დღეებში მაიკ ტაისონი ცნობილ პრომოუტერ დონ კინგის (რომელიც კარგა ხანს მეურვეობდა მას, მატჩებს აწყობდა, შემდეგ კი ჩხუბი მოუვიდათ) მცველის თანხლებით მიემგზავრებოდა სასამართლოში, სადაც არაერთი სადავო საკითხი ჰქონდა მოსაგვარებელი.



ერთ მომენტში ტაისონმა მანქანა გააჩერა და ფეხით გასეირნება მოინდომა. დონ კინგის მცველმა აისიდორ ბოლტონმა სთხოვა, დაბრუნებულიყო, რათა გზა გაეგრძელებინათ, ტაისონს რაღაცა ეწყინა და ბოლტონს ისე სცემა, რომ ყბა ჩაუმსხვრია.

ბოლტონი აპირებს, 37 წლის ექს-ჩემპიონს უჩივლოს. მოკრივე თუ გაამტყუნეს, შეიძლება, მისი მომავალი მატჩები საერთოდ ჩაიშალოს.

— ჩემი აზრით, ტაისონი ორიოდე წლით რუსულ ციხეში უნდა აყურყუტონ, — განაცხადა ბორის ლაგუტინმა, — მაშინ იგი „აბრეშუმისავით“ რბილი გახდება.

## ბლოხინი თანახმა არ არის

**კლუბ „როსტოვის“ (ასე ეწოდება ახლა ყოფილ „როსტსელმაშს“) ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზა ახლო წარსულში გამოჩენილ ფეხბურთელს, ახლა კი საბერძნეთში წარმატებით მომუშავე ოლეგ ბლოხინს, თუმცა, მყისვე უარი მიიღეს. რატომ?**

ბლოხინს წაუყენეს პირობა — აუცილებლად უნდა დაიკავოს ადგილი რუსეთის პირველობის პირველ სამეულში (უწინ „როსტოვის“ ხელმძღვანელობა თასის მოპოვებასაც მოითხოვდა).

არაფერი ამის მსგავსი როსტოველ ფეხბურთელებს არ ეტყობათ. ამიტომაც, ბლოხინს შეეშინდა, რომ დაკარგავს იმას, რაც საბერძნეთში მოიპოვა — კარგი მწვრთნელის რეპუტაციას.

ევრო-2004

# „რუსეთის ნაკრების მდგომარეობა არაა კრიტიკული"

***რუსეთის ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს მოსკოვის ცსკა, რომელსაც, როგორც ცნობილია, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი ხელმძღვანელობს. მოსკოვის ყოველკვირეულ „ფუტბოლის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა არმიელთა კლუბის წამყვან ფეხბურთელ როლან გუსევს.***

**— შემოდგომაზე ცსკას ბევრ ფეხბურთელს რამდენიმე ფრონტზე მოუხდება გამოსვლა. ესაა ეროვნული პირველობის, რუსეთის თასის ჩემპიონთა ლიგისა და ნაკრების მატჩები. ეყოფათ კი მოთამაშეებს საამისო ძალები?**

— ჩემი აზრით, უნდა ეყოთ. ჩვენ ხომ ამისათვის აქტიურად გვამზადებენ. საერთოდ, ასეთი სიტუაცია სრულიად ნორმალურია. ევროპაში ბევრ კლუბს სულ სხვადასხვა ტურნირებში უხდება მონაწილეობა, მაგრამ ღირსეულად ართმევენ თავს ამოცანებს.

რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, მე არ ვთვლი, რომ მისი მდგომარეობა ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში კრიტიკულია. დიახ, გაზაფხულზე ჩვენ ორჯერ დავმარცხდით — საქართველოსა და ალბანეთთან. მაგრამ ამას ხომ თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. რუსეთის ჩემპიონატი სულ ახალი დაწყებული იყო, გუნდებმა რამდენიმე მატჩი ითამაშეს, მოთამაშეები ნამდვილად არ იყვნენ, უპირველეს ყოვლისა,



ფიზიკური კონდიციების თვალსაზრისით, სათანადოდ მომზადებულები. გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ფეხბურთელების დიდი უმეტესობა რუსეთის ჩემპიონატში მონაწილეობს. ეს მაშინ, როცა ჩვენი მეტოქეები სულ სხვანაირ, მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდნენ: ალბანეთისა და საქართველოს ნაკრებების ბირთვს სწორედ ლეგიონერები შეადგენდნენ, რომელთა მზადყოფნა იმ დროისათვის ოპტიმალური იყო.

**— დიახ, მაგრამ ახლა ჩვენი ჩემპიონატი მძაფრად მიმდინარეობს, ეს კი იმის საფუძველს იძლევა, რომ დარჩენილ შესარჩევ თამაშებში მხოლოდ მოგებებს უნდა ველოდოთ და პირდაპირ მოვიპოვებთ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას? (ამას მხოლოდ პირველ ადგილზე გამოსვლა სჭირდება, რადგან მეორე ადგილზე გამოსულს დამატებითი მატჩები მოელის — რედ).**

— რატომაც არა! ამისათვის დასაწყისისათვის საჭიროა გასვლით მატჩში ირლანდიელების დამარცხება. ყოველ შემთხვევაში, ეს შეხვედრა არ უნდა წავაგოთ. ნურც იმას ნუ დავივიწყებთ, რომ ირლანდიელებსა და შვეიცარიელებს ერთმანეთთანაც მოელით შეხვედრა და ამდენად ქულებს დაკარგავენ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ირლანდიელებთან ფრე ხელს გვაძლევს — არა, ჩვენ მოგებაზე უნდა ვითამაშოთ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ჩვენებური

# იაკუშინის სიძე

**დიღუბეში, გორის ქუჩის ოცდაერთში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ბევრ სახელოვან და გამოჩენილ ადამიანს უცხოვრია — ჩვენს სასიქადულო პოეტს იოსებ ნონეშვილს, თვალსაჩინო ქირურგ-უროლოგს მარიამ აფაქიძეს (აკადემიკოს ანდრია აფაქიძის და), ესტრადის მომღერალსა და თბილისის „დინამოს“ მეორე თაობის ცნობილ ფეხბურთელს მიშა ჯოჯუას და მის ძმას — კომპოზიტორსა და ფეხბურთელს შოთა ჯოჯუას, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მწერალ ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩიას, თბილისის კოლორიტებს, დიდი გალაკტიონის მეგობარს ირაკლი შარიქაძეს, აკაკი კოპალეიშვილს, გოჩა ძამაშვილს, დამსახურებულ პედაგოგს თამარ პაპავას და მის დას, ექიმ ზინა პაპავას...**



15 წელიწადი ჩვენს ეზოში ედო ბინა შესანიშნავ ფეხბურთელს ბორის ფროლოვს, რომელიც 1937-46 წლებში იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას.

აქვე, 1938 წლის 29 ივლისს დაიბადა მისი ვაჟი, შემდგომში ასევე ცნობილი ფეხბურთელი, მეკარე იგორ ფროლოვი, რომელმაც ბავშვობა და ახალგაზრდული წლები ჩვენთან გაატარა.

ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, იგორ ფროლოვი თბილისელი კაცია, დიდებული საფეხბურთო სკოლა ლეგენდარულ ვლადიმერ მარღანიასთან გაიარა. შემდეგ იგი საქართველოს პირველობაზე ქობულეთის „შუქურას“ კარს იცავდა, საიდანაც ნიკიტა სიმონიანმა უკვე პესპექტიული მეკარე მოსკოვის „სპარტაკში“ წაიყვანა. იმ წელიწადს (1958 წ.) „სპარტაკი“ სსრკ ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა.

იგორ ფროლოვი იხსენებს:

„1962 წლის 9 სექტემბერს მოსკოვის „სპარტაკი“, რომლის კარსაც მე ვიცავდი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მე-2 წრის მატჩში „ლედნიკებში“. ხვდებოდა თბილისის „დინამოს“, რომლის მთავარი მწვრთნელი გახლდათ მიხეილ იაკუშინი. ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით, და აქ, შინ, წავაგეთ „დინამოსთან“ (ორივე გოლი ზაურ კალოევმა გაიტანა — ვ. ჭ.).

თამაშის შემდეგ გასახდელში ვიჯექი გაჭუჭყიანებული ფორმით, დაღლილი და წაგებით განაწყენებული. ამ დროს მითხრეს — იგორ, თბილისელთა მწვრთნელს შენი ნახვა უნდაო. მიხეილ იაკუშინს დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონდა დედაჩემთან. თავის დროზე დედა, ისევე როგორც „მიხეი“, რუსულ ჰოკეის თამაშობდა მოსკოვის „დინამოში“. დედამ თბილისიდან მ. იაკუშინს ჩემთვის ამანათიც კი გამოატანა... ასე აღმოვჩნდი იაკუშინების ოჯახში, სადაც გავიცანი მისი ქალიშვილი ნატაშა.

1965 წლის 31 იანვარს ჩვენ დავქორწინდით“.

1967 წელს, როდესაც იგორ ფროლოვი მოსკოვის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა, იაკუშინმა იგი სსრკ ნაკრებში გამოიძახა, მაგრამ მწვრთნელთა საბჭომ იგორის კანდიდატურა არ დაამტკიცა მათი ნათესაური კავშირის გამო. უფროს მწვრთნელს ხელი ჩაუქნევია და მის ნაცვლად ტაშკენტის „პახტაკორის“ მეკარე იური პშენიჩნიკოვი მიუწვევია.

1965 წლის 21 აპრილს სეზონის პირველი წრის მე-2 ტურში თბილისის დინამოელებმა მინსკელ თანაკლუბელებს უმასპინძლეს. სტუმართა კარს იგორ ფროლოვი იცავდა. მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა. კარგად მახსოვს, მატჩის წინა დღეს იგი ეზოში გვეწვია და დიდი ხნის მონატრებული მეზობლები მოგვინახულა.

იგორი და მისი მეუღლე 1970 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბრაზილიაში გაემგზავრნენ. ნატაშა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხაზით საელჩოში მუშაობდა, იგორი კი სოციალისტური ქვეყნების დიპლომატთა შვილებს ფიზკულტურას ასწავლიდა.

ბრაზილიაში გაიცნო მან ლეგენდარული ჟოაო სალდანია და პელე, რომელთანაც სამახსოვრო ფოტოც გადაუღია.

„მაშინ კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი, — იხსენებს იგორ ფროლოვი, საელჩოში პელე გვესტუმრა და ჩემით დაინტერესდა: მაშინ „ბოტაფოგოს“ ხელმძღვანელებმა შემომთავაზეს მათს გუნდში თამაში, მაგრამ „ზემოთ“ გამომიძახეს და გამაფრთხილეს. თავიდან ამომეგდო „ბოტაფოგოზე“ ფიქრი“.

ბრაზილიიდან დაბრუნების შემდეგ (1971 წ.) იგორ ფროლოვმა 3 სეზონი მოსკოვის „ლოკომოტივში“ ითამაშა.

ამჟამად იგი მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს — ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში ხელმოკლე ოჯახების შვილებს ფეხბურთს, ხელბურთს, კალათბურთს და ფრენბურთს ასწავლის.

შეგახსენებთ, რომ სსრკ სპორტის ოსტატი იგორ ფროლოვი თამაშობდა ტამბოვის „სპარტაკში“ (1959 წ.), მოსკოვის „სპარტაკში“ (1960-62 წ.წ.), ცსკაში (1963-64 წ.წ), მინსკის „დინამოში“ (1965-66 წ.წ.) და მოსკოვის „ლოკომოტივში“ (1967-69, 1971-74 წ.წ.), არის 1962 წლის სსრკ ჩემპიონი და 1965 წლის სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი.

მაშინ მინსკში მოთამაშე ი. ფროლოვის გუნდმა ფინალში დამატებით დროში წააგო მოსკოვის „სპარტაკთან“.

ხვალ — 29 ივლისს, ქართული საფეხბურთო სკოლის აღზრდილს იგორ ფროლოვს დაბადებიდან 65 წელი უსრულდება.

**ვულოცავთ!**

**ვაჟა ჭიაურელი.**

გამოცემა

# წიგნი თბილისის „დინამოზე“

**(მეშვიდე გვერდიდან)**

80-იანი წლების შუა ხანებიდან „დინამო“ კვლავ ღრმა კრიზისში აღმოჩნდა, რაც, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო მრავალნაცადი მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის გუნდისგან ჩამოშორებით და თაობათა ცვლის პროცესით. ახალბედა, გამოუცდელმა, მწვრთნელებმა საქმეს ვერ უშველეს. ასე აღმოჩნდა „დინამო“ მისთვის უჩვეულო XIII, XI, XIV ადგილებზე და უმთავრესად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ზრუნავდა.

1990 წლიდან საქართველომ დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება დაიწყო. აქედან იწყება ქართული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ხანა, მესამე ეტაპი, რომელიც დღესაც გრძელდება. ამიტომ მის შესახებ გამოწვლილვით საუბარი მომავლის საქმეა.

ყველაფერი ამის შესახებ დეტალურად, დაწვრილებით, უარღესად კვალიფიციურად, პროფესიულად არის საუბარი გარუნ აკოფოვის ახალ წიგნში „დინამო“ თბილისი.

მის მთავარ ღირსებას იმაში ვხედავთ, რომ მიუხედავად თბილისის „დინამოსადმი“ დიდი სიმპათიებისა, წიგნი არ წარმოადგენს „დინამოს“ აპოლოგიას, უსაზღვრო ქება-დიდებას. წარმატებების გვერდით აღნიშნულია ჩავარდნებიც, წარუმატებლობებიც, ხაზგასმულია მათი გამომწვევი მიზეზები, დამაჯერებლადაა ნაჩვენები ქართული ფეხბურთის ძლიერი და სუსტი მხარეები.

განსაკუთრებით ღირებულად მიგვაჩნია ის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ბოლოს აქვს დართული წიგნს.

გამორიცხული არაა ზოგიერთი საკითხის დაზუსტება, სრულყოფა. სურათზე აღბეჭდილი მიხეილ მესხის ფანტასტიური გარღვევა, როდესაც მან უკან მოიტოვა მოსკოვის „დინამოს“ მთელი დაცვა და მეკარე ლევ იაშინი, მოხდა არა 1964 წლის 12 სექტემბერს, როგორც ეს წიგნშია მითითებული, არამედ ცოტა უფრო ადრე, 1963 წლის 13 ივლისს. მე ვესწრებოდი ამ მატჩს. თბილისელები ყვითელ მაისურებში თამაშობდნენ და თუ მეხსიერება არ მღალატობს ეს ეპიზოდი მოხდა სამხრეთის ტრიბუნის კართან. ეს მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა. 1964 წლის 12 სექტემბერს კი თბილისელები ლურჯებში თამაშობდნენ და გაიმარჯვეს 2:1. ეტყობა, ლაფსუს კალამია.

ჩვენი ღრმა რწმენით, 1963 წელს დონეცკის „შახტიორის“ წინააღმდეგ მატჩში თბილისში ჩტუმრების კარში გოლი გაიტანა არა სლავა მეტრეველმა, როგორც ეს წიგნშია, არამედ ვლადიმერ ბარქაიამ. ამიტომ ეს გოლი ვლადიმერ ბარქაიას აქტივში უნდა შევიტანოთ.

შეიძლება დასაზუსტებელი იყოს სხვა დეტალებიც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს წვრილმანია, რომელიც, ვფიქრობთ, არანაირ ჩრდილს არ აყენებს ავტორის მიერ გაწეულ უზარმაზარ, კოლოსალურ შრომას.

ამრიგად, გარუნ აკოფოვმა დაწერა მეტად საინტერესო და საჭირო წიგნი თბილისის „დინამოზე“. ამით მან ფაქტორივად შექმნა თბილისის „დინამოს“ მატიანე და ჩვენ ამისათვის მადლობლები უნდა ვიყოთ. ეს წიგნი ქართველი გულშემატკივრისათვის ძვირფასი შენაძენია და დიდხანს იქნება მათთვის სამაგიდო წიგნი.

**მერაბ კალანდაძე.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## მხრის ორთავა კუნთების (ბიცეპსების) ვარჯიში, II ნაწილი

ბიცეპსების ვარჯიში ზაფხულობით, ზღვაზე წასვლის წინ მოყვარულ ათლეტებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, ხოლო პროფესიონალები მთელი წლის განმავლობაში გეგმაზომიერად ცდილობენ ამ ძალზედ ეფექტური, მაგრამ ძნელად დასამუშავებელი კუნთების დახვეწას.

დღეს გთავაზობთ ბიცეპსების (მხრის ორთავა კუნთების) ვარჯიშებს თქვენთვის კარგად ცნობილი სპორტსმენების, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 20 წლის სტუდენტის **მიხეილ კახნიაშვილისა** და ამავე უმაღლესი სასწავლებლის ათლეტიზმის სექციის 23 წლის მწვრთნელის **გრიგოლ ნიკოგოსოვის** შესრულებით.

**1. ბიცეპსების ვარჯიში შტანგით დახრილ დაფაზე იდაყვების დაყრდნობით (სურ. 1)** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**2. ბიცეპსების ვარჯიში ჰანტელებით ჯდომში (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**3. ბიცეპსების ვარჯიში ხელების მონაცვლეობით დახრილ დაფაზე იდაყვის დაყრდნობით (სურ. 3).** თითოეული ხელისათვის სრულდება 4-4 მისვლა 10-10 გამეორებით.

**4. იგივე ვარჯიში იდაყვის მუხლზე დაყრდნობით (სურ. 4).** თითოეული ხელისათვის სრულდება 4-4 მისვლა 12-12 გამეორებით.

**შენიშვნა:** **1 სურათზე — მიხეილ კახნიაშვილი; 2, 3 და 4 სურათებზე — გრიგოლ ნიკოგოსოვი (მისი ბიცეპსების გარშემოწერილობაა 54,5 სმ).**

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



1



2



3



4

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოპური

ნანა ღვინეფაძე

# ქართული ხვნილია

... დარდი ხვნია — ანუ ხვნილია — მიმწუხრს რომ ახლავს... ახალ დარდზე და წუხილზე ძველიც იღვიძებს და წაებმება ხოლმე ერთმანეთს, ამოთქმას მოგთხოვს...

მომალებულ დარდზე ვიღებ ხელში კალამს... ხვედიანი ამბები გამახსენდა — სურათები იმერეთის ერთი სოფლის ცხოვრებიდან... რომელსაც სიმონეთი ჰქვია — სამხრეთ კავკასიონამდე აღწევს მისი თვალსაწიერი... ზესტაფონსა და ქუთაისს შუაა მოქცეული — გულის იმერეთიც, ალბათ, ამიტომ შევრქვა.

## ქორწილი

ანთიმოზა მესხის სახლი ზედ კორტოხზე იდგა. ახლა იქ ნამოსახლია... (გამრავლდა სოფელში ნასახლარები)... დაქვრივებული ბერიკაცი ერთადერთ ვაჟს — ქორქიკას შეჰხაროდა, მის დაქორწინებას ნატრობდა.

ეს დღეც დადგა!..

დატრიალდა მოხუცი, — რაც სასტუმროდ დგამი დააკლდა, მეზობლებიდან ინათხოვრა, გააკოხტავა ოდასახლი, ეზო სანაქებო ჰქონდა, ხეხილით დაბურული, თავი მოიყარეს სტუმრებმაც, აჭრიალდა იატაკი ძველ სახლში. მოყვრებს საპატიო ადგილი მიუჩინეს გრძელ მაგიდასთან, ნეფე-დედოფალი ერთმანეთის საფერი გამოდგა, — მორიდებით უღიმოდა ვაჟი ქალს, რომელიც შორიდან ჰყავდა შეთვალიერებული და ახლა უკვე მის ფრთებქვეშ იყო.

ქორწილი თავისი ადათით მიდიოდა, მაგრამ ჭირვეული გამოდგა თამადა — სუფრა არავის არ უნდა მიეტოვებინა, არადა, გაურჩდა ერთი სტუმარი...

სიტყვიერ შეხმიანებას შეხლა-შემოხლა მოჰყვა და... იელვა ხანჯლის პირმაც — პატარძალმა ის იყო მანდილის ჩაგდება დააპირა, რომ სხვისკენ მიმართული ხანჯალი მას მოხვდა...

... ბევრი უბედურება ხდება შემთხვევით... ეს მაინც მეტისმეტი იყო...

გამწარებულმა მაყრებმა აყალმაყალი შექმნეს და გაწევა-გამოწევაში ძმებმა სახლს ცეცხლი წაუკიდეს...

ცოტა ხნის წინათ ამ სახლიდან „მრავალჟამიერი" ისმოდა — სუფთა, თავანკარა, იმერული ღვინოსავით მათრობელა „მრავალჟამიერი".

გასწრებაზე მიდგა საქმე...

... მეორე დღეს პატარძალი იმავე ურმით წაასვენეს სათემოსკენ, რომლითაც ის თავისი მზითვით ამოეყვანათ...

... დარჩნენ ისევ ერთმანეთის შემყურე მამა-შვილი მარტოდ-მარტო...

გავიდა რამდენიმე წელი და მეორე მსოფლიო ომი ატყდა.

... დედისერთებიც მიჰყავდათ და მამისერთებიც... ქორქიკა მესხსაც მოუწია ფრონტზე წასვლა. ამაოდ გაჰყურებდა სივრცეს მოხუცი, გადარჩენილ ხელსაფქვავზე იღერღებოდა მისი სიცოცხლე...

... სანთელივით ჩამოდნა უგზო-უკვლოდ დაკარგული ვაჟის მოლოდინში ანთიმოზა მესხი...

## ქართველი ანჯელო

... ოჯახის დარდი გაჰყვა ბრძოლის ველზე მიმავალ ვანიჩკა ჯანელიძეს — ატირებული დატოვა ცოლი და სამი ქალიშვილი.

ვის არ უჭირდა ომის წლებში, ვინ არ მისდგომია მეზობელს პაწია ქოთნით აფუფქული ფქვილის სასესხებლად... რამდენი ოჯახი დარჩა უმწეოდ.... კანტი-კუნტად მოდიოდა სამეზობლოში სამკუთხა წერილები — ვანიჩკასგან არა!

წელებზე ფეხს იდგამდა გუნებაში უკვე დაქვრივებული ქალი — ღვთის მადლით ჯანი მოსდევდა, — გოგონები წამოჩიტა... ამასობაში ომიც დამთავრდა და ერთ მშვენიერ დღეს ვანიჩკა ჯანელიძე მშობლიურ კერას დაუბრუნდა!..

... სად იყავი, შე კაცო, ხმა რომ არ გაგვეცი, დავწყდით დარდით...

სად იყო და, ტყვედ ჩავარდნილა, ტყვეობიდან რის ვაივაგლახით დაუღწევია თავი და იტალიაში პარტიზანებს შეჰკედლებია!

... ჰოდა, ასე იყო ჩემო ბატონო, — მოყვებოდა გრძლად თავის თავგადასავალს და იტალიელებს აქებდა!

... ანჯელო! ეს სახელი განსაკუთრებით ეძვირფასებოდა — იტალიელ პარტიზანთა თავკაცი ძმადნაფიცად გაუხდია!...

— ანჯელოო! — გაიგონებდით სოფელში ძახილს — ომისშემდგომ მოვლენილი პატარა ქართველისთვის რომ დაურქმევია ძეობით გახარებულ მამას.

პატარა ანჯელო რომ წამოიზარდა, საქმეც გაუჩნდა კაცური — ჯერ მამასთან ერთად დადიოდა სამწყემსურში, მერე დებთან ერთად, მერე მარტოც...

— ანჯელო, უუ! — შეეხმიანებოდნენ ხოლმე მთაში წასულ ბიჭს და ისიც აუჩქარებდა დაბინდებამდე საქონლის ჩამორეკვას.

— ანჯელოო!... მერამდენედ გაისმა ძახილი... ექოც კი დადუმდა...

... წავიდნენ საძებრად — წკვარამში ჩამხრჩვალიყო პატარა ანჯელო...

## დაკარგული

... ეს უკვე ახალი ამბავია, სოფლის ახალი სატკივარი — გიგლა დაკარგულაო...

აივლიდნენ და ჩაივლიდნენ გამოკეტილ კარ-მიდამოსთან მეზობლები და ესევ ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ნეტავ სად უნდა იყოს, რა მოუვიდაო...

— შარშანწინ ამ დამარტოვებულ კაცს სახლი დაეწვა, — არც მაშინ ყოფილა შინ, — შორს გათხოვილი დის ოჯახს წვევია დარდის გასაქარვებლად.

... დაბრუნდა და უარესი დარდი დახვდა — ცეცხლმა შთანთქა მამაპაპისეული და მისი მონაგარი... ისე გადარეულა ხანძარი, რომ იშვიათ ხეხილსაც კი დარევია...

მეზობლები ცდილობდნენ ხანძრის ჩაქრობას, მაგრამ ამაოდ, — გიგლა შინისკენ მოდიოდა, ორღობეში ბავშვებმა რომ მიახალეს, შენი სახლი იწვისო... იდგა გაოგნებული კაცი და უყურებდა, როგორ იქცა ნაცარტუტად მისი სამოსახლო...

... არც არავისთვის უკითხავს — როგორ მოხდაო და ვერც ვერავინ ეუბნებოდა სიტყვას — იდგა სამძიმარის მომლოდინე კაცივით სულჩაფერფლილი და ენაგაწყვეტილი...

სახლის გვერდით რომ ქოხი იდგა, ისღა გადარჩენილიყო რაღაც განგებით — ის იქცა მის თავშესაფრად...

შინ მაინც აღარ უდგებოდა გული, დედაქალაქი ენატრებოდა, სადაც ჯეელობის წლები გაფლანგა, კარგი დღეებიც ახსოვდა...

სწორედ ქალაქში დაუნახავთ ნაცნობებს იმ ხანად, — თავჩაქინდრული მილასლასებდა ქუჩაში, თითქოს ძველ ნაკვალევს ეძებდა გეშით... არც ახსოვდა როდის ჩამოაღწია ქალაქში, აღარც ის აგონდებოდა, მისი ნაჭირნახულევი კარ-მიდამო რომ ელოდა...

სოფელში კი ხმა გავარდა — გიგლა დაკარგულაო...

## გოგნის კარუგდებელა

მთიდან დაძრულ, დანაყრებულ საქონელს პოლიშკა ბებიას კარზე უნდა ჩამოევლო. მწყემსები ჩქარობდნენ დაწინაურებას, ეზოში არ გადაგვასწროსო ნახირმა — კბილი არ გაკრასო ნაპატივებ ყანას. არადა, ერთი უნირო მოზვერი მთელ ჯოგს არცხვენდა, — როგორც კი მიუახლოვდებოდა ეზოს, მოხუცის მოფოხვილ ღობეს ჩათელავდა და ყანას მისცემდა თავს — ატყდებოდა ვაი-ვიში, წყევლა-კრულვა:

— გოგნის კარუგდებელა გოუწყრეს შენს პატრონს, — გაავდებოდა გოგნელი ქალი...

— რა არის ეს გოგნის კარუგდებელაო — დაინტერესდნენ მეზობლები...

... წმინდა გიორგის სალოცავი ყოფილა ძერულისპირა სოფელში — ძლიერ ეკლესიად მიაჩნდათ, დიდძალი ხალხი აწყდებოდა თურმე ახლო-მახლო სოფლებიდან და კარუგდებელაც ამიტომ შეურქმევიათ!...

... სამართლიანიაო გოგნის წმინდა გიორგი — ასე სწამდა ხალხს...

## ძველი საიდუმლო

... საიდუმლოებით იყო მოცული პელაგიას ღამეები, — ნაშუაღამევს უსათუოდ წამოდგებოდა ლოგინიდან, ფრთხილად შეიპარებოდა სამზადში, აიღებდა ბუჯერიდან ჯამს და სადღაც მიდიოდა...

ყურმახვილა უფროს რძალს — გაიანეს ცნობისმოყვარეობა შეეყარა — ოდის მეორე თვალში იწვა, მაგრამ კარგად ესმოდა პელაგია ფეხაკრეფით რომ გადიოდა ეზოში, ფანჯრიდან ისიც დალანდა, და სამზადის რომ მიადგებოდა, — მერე კი სად უჩინარდებოდა, ვერა და ვერ გაეგო...



სიმონეთი, წმინდა გიორგის ეკლესიის სამრეკლო.

... სამზადის უკანა კარი ნიადაგ დაგმანული იყო, მაგრამ სწორედ იმ კარიდან გადიოდა ხოლმე პელაგია ეზოს ბოლოში — „მოვდივარ, მოვდივარო", წაიჩურჩულებდა, წაიხრებოდა და ჯამს ყორესთან დადგამდა — ჯამში რძე ლიცლიცებდა... თუ მთვარიანი იყო, ლოდინი უწევდა, ადამიანზე მეტად უხსენებელი ფრთხილობდა... როცა დარწმუნდებოდა, რომ ხიფათი არ ელოდა, გამოიზლაზნებოდა და მოსაკითხს ნელ-ნელა ამოცლიდა...

... პელაგია დაყვავებით შეულოცავდა, — ჩემი ოჯახის მფარველად მეგულებიო, ჯამს აიღებდა და ოდაში ისევ ფეხაკრეფით დაბრუნდებოდა.

ძილი გაუფრთხა გაიანეს, ცნობისმოყვარეობამ წასძლია და ერთხელაც უჩუმრად გაჰყვა რძალს უკან...

მთვარეს გაუკვირდა ორი ლანდის დანახვა, მაგრამ ენა ჩაუვარდა...

პელაგიამ ჩვეული გზით მიაკითხა ყორეს, ჯამიც ფრთხილად დადგა, და თეთრი შალი შეისწორა მხრებზე, გრილოდა... მის უკან კი გაოცებული გაიანე იდგა და სეირს ელოდა...

... აღარ ინება უხსენებელმა მოსაკითხი, — დაირღვა საიდუმლო კავშირი ორ არსებას შორის...

იგრძნო გაიანემ, რომ გამჟღავნდებოდა მისი იქ ყოფნა, მიხვდა მისახვედრს და გაეცალა იქაურობას... დედამისზე გამიგონია, გრძნეული ქალიაო, თითონაც გრძეული ყოფილა, — გაიფიქრა რძალმა...

ის იყო და ის, უხსენებელი აღარ ენდობოდა თეთრმოსასხამიან ქალს, — გადაიკარგა...

გულში ჩაიკლა დარდი პელაგიამ...

## სიმღერა

... ზედა სიმონეთში ერთი თავწაკვეთილი კონუსისებური გორაკი გამოირჩევა — სამანიშვილის გორას ეძახიან...

ამ გორას ჩახუტებია მინაგო ღვინეფაძის სამოსახლო.

დიდი ხანია კრიჭაშეკრული დგას მიტოვებული ოდა — ქალიშვილები სხვადასხვა კუთხეში გათხოვდნენ, ვაჟი — ომგადახდილი სამხედრო ექიმი ოთარი, თბილისში ცხოვრობს ცოლთან თამართან ერთად. მათი ორი შვილი კი დედულში, რუსეთში დასახლდა — ბავშვობაში უყვარდათ ეს გარემო, მთა-მთა სირბილი, ჭა რომ დაიკლებდა, წყაროზე ჩარბენაც არ ეზარებოდათ, — დიდი ხანია აქეთ აღარ მოუხედიათ...

მინაგო სოფლის ბურჯი იყო, მშრომელი და იმედიანი კაცი, მოხუცი დედა ჰყავდა, რძალი აღარაფერზე აწუხებდა — მისი საქმე მეზობლებისთვის გაქათქათებულ ხელსახოცგადაფარებული სინით ხილის მოკითხვა და გარმონი იყო...

**„მე ვარ ქალი, ქვეყნის თვალი,**
**კვაწო ყიფიანის ქალი!**
**საყდარში რომ შევდიოდი,**
**ყველას ჩემსკენ ჰქონდა თვალი"...**

ასე ამღერებდა ხოლმე გარმონზე... ახლა კვაწოს მაგივრად ქარი მღერის...

## ნავლწაყრილი ამბავი

... იმერეთში ვინ არ იცის ოლდენბურგელების ამბავი — ქუთაისში ახლაც დგას ის კოხტა სახლი, რომელშიც პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგელი ცხოვრობდა, ცოლად ტარიელ დადიანის ცოლი რომ დაისვა — აგრაფინა — ივანე ჯაფარიძის ასული...

იგავად დარჩა ხალხში — დადიანმა ლამაზი ცოლი წააგოო... ღმერთმა იცის, მართლა ასე იყო თუ არა, უსიყვარულოდ კი ეს ამბავი არ მოხდებოდა — დადიანი განქორწინებაზე უარს ყოფილა — ჭორია თუ მართალი — დიდი კომპენსაცია მიიღო და გაასხვისაო... გაულექსიათ კიდეც ეს ამბავი — „აგრაფინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო"... დიდი ქორწილიც გადუხდიათ კლუბის დარბაზში. ეს რაც ზეპირგადმოცემით ვიცოდი...

ჰოდა, გახდა გრაფინია მშვენიერი აგრაფინა... სტუმრიანი ოჯახი ჰქონიათ ივანე პურადაშვილის ცნობით — იქამდე ლამის თავზეხელაღებული პრინცი (რისთვისაც გადმოუსახლებიათ პეტერბურგიდან განაპირა ქვეყანაში (!) დადინჯდა და ნადიმებს კი მართავდა ქართველ წარჩინებულთათვის, მაგრამ გარე-გარე ქეიფისთვის თავი დაუნებებია — აგრაფინას გავლენით (რომელსაც მერე გრაფინია ზარნეკაუდ მონათლავენ) ყაირათიანი ცხოვრება დაუწყია, მრეწველობასაც მიჰყო თურმე ხელი — კონიაკის და შამპანურის ქარხანა გაუხსნია ბალახვანში, მოუწვევია ფრანგი სპეციალისტები და საექსპორტოდ ამზადებდა დიდძალ სასმელს. ცოლ-ქმარი ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობასაც — გრაფინია მონაწილეობდა სამოყვარულო სპექტაკლებშიც — ძველი კოლექციონერის პაპუნა წერეთლის იშვიათ ფოტოებში მინახავს მისი სურათი ანგელოზის როლში!

პრინცს 1896 წლამდე უცხოვრია ქუთაისში, მერე კი მიუღია პეტერბურგში დაბრუნების ნება. დიდი პატივით გაუცილებიათ ქუთათურებს რიონის სადგურამდე.

ახლა კი ცოტა უკან დავბრუნდეთ, — ისევ ქუთაისში... ოლდენბურგელების ოჯახში ფრიად მიღებული პირი ყოფილა იასონ გელოვანი — ლეჩხუმის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. ერთხელაც წვევია მათ და კაცი შინ არ ყოფილა. აგრაფინას პატივისცემით მიუღია სტუმარი და ევროპულ სადილზე მიუპატიჟებია. პირველი წვნიანი ყოფილა — იასონი შეფიქრიანებულა — მიჩვეული იყო თურმე წვნიანში პურის ჩაფშვნას, მაგრამ მორიდებია მასპინძლისა. ცოტაც და, დიასახლისს თავად დაუწყია მათლაფაში პურის ჩაფშვნა, რამაც სტუმარს ხელი გაუხსნა და „მიბაძა". აგრაფინამ თურმე ძაღლს დაუდგა ის სალაფავი...

შერცხვა კაცი...

## ბონდი

... ზესტაფონი, ბონდის ხიდი...

მთავარიანი ღამე... შუა ბონდზე ერთმანეთის პირისპირ დგანან თამარ ლოლაძე და ტიტიკო საყვარელიძე.

ბონდი ჰამაკივით ირწევა...

უცბად ტიტიკო მთვარეს ახედავს და ამბობს:

— მოდი, თამარქალო, გავცუროთ მე და შენ ნავით პირდაპირ ფოთში და...

— აჰ, — შეიცხადა ქალმა!

— აჰ!...

... გაწბილებულ ვაჟს ისარივით მოხვდა უარი, მწარედ გაეღიმა...

მწარედ შეინანა მერე ქალმა, როცა გაიგო, რომ ის ვაჟი ტყვიამ (ბრმამ?) იმსხვერპლა...

... ეს იყო 1924 წელს...

... იქნებ ის წინასწარ გრძნობდა, რომ უნდა გაქცეოდა ბედისწერას?!

... მთელი სიცოცხლე მონანიედ გაატარა მარტოხელა ქალმა...

P. S. ... **ამ ამბავმა ის დრო გამახსენა, ერთი ყმაწვილი მთვარეზე რომ მეპატიჟებოდა... თუთის ხეზე ვიჯექით....**

2003 წლის ივნისი-ივლისი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 198, ორშაბათი, 28 ივლისი, 2003 წელი.

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

## ლია მღვდელაძე

### წუხილი

ნუთუ ვერა სცნობ?
შენს წინაშეა მამული შენი!
ქვეყანა სადაც
ოდიდგან იდგა სამოთხის ბჭენი,
სალხი ოდითგან
დასახლებული ღვთისაგან ზენით,
ტკბილად მოუბრე
სულხანის და თამარის ენით!
დღეის ქაოსში
ვეღარ განსაზღვრავს გიჟი თუ ბრძენი,
სად არის მიწა,
მდგრად რომ იცავდნენ ქართლოსის მენი,
სად არის სალხი,
ვისშიც არ ჩაკვდა დავითის გენი,
სად არის მითი,
არ დაგვავიწყოს წარსული ჩვენი,
სად არის ჯვარი,
რომელიც განგვწმენდს ჭეშმარიტ რწმენით,
სად არის აზრი,
გაგვიჩირაღდნოს მომავლის დღენი,
სად არის პირმშო,
ერთ მუშტად შეკრას ტანჯული ერი,
სად არის ხმალი,
სწრაფად შემუსროს მომდგარი მტერი,
სად არის ხმა, რომ
„მუმლი მუხათი“ ახადოს ჭერი,
სად არის მზე, რომ
აბრდღვიალოს მეინვარის წვერი,
სად არის მალა,
ჯანღი გაფანტოს — ვით ფესის წვერი,
სად არის სიტყვა,
უკან რომ გაჭყვეს ერი და ბერი!

* * *

ნეტავ სად არის დიდი სურვილი:
ბედი მამულის — კუტად შეკრული,
გადაიმტკიცოს, იცვალოს ფერი,
პურად გამოცხვეს გადაბრუწილად,
ოღონდ გამოცხვეს — გვიან გამოცხვეს,
მაინც გამოცხვეს — ვით ობლის კვერი!

### მარტყოფის დილა

იმ დღეს სუფევდა თურმე სარება,
მარტყოფის ველზე ღამე მინავლდა,
საბედისწერო ბრძოლის მიჯნაზე,
შეშფოთებული მიწა გმინავდა.

უკვე ინათა, რიჟრაჟის შუქზე, ნისლში
ლაშქარი გამოიკვეთა,
საომარ ცეცხლით ანთებულიყვნენ, ჭმუნვა
არ აჩნდათ ქართლოსის მეთა

დუმილს მოეცვა შეკრული ჯარი
აბჯარი ესხათ ერსაც და ბერსაც,
საქართველოს და ქრისტეს სახელით —
თავგანწირულებს უპირველესად!

მუსლმოერილ რაინდთ აზიარებდნენ
ქართულ პურით და ქართულ ზედაშით,
ვით სორცი, სისხლი საქართველოსი,
გამოსატული სულისკვეთაში.

საქართველოში ხდებოდა მხოლოდ,
ლაშქრის დალოცვა ხმლითა და ჯვარით,
თვით ომის ღმერთი ჩამოსულიყო,
ფრესკას სდიოდა მირონის ღვარი.

ზარის რეკვასთან შერწყმული ლოცვა,
ზეცად აჰქონდათ მოვარდნილ ქარებს,
ტკბილი გუგუნით ერი გალობდა,
სიმების თრთოლვით აკვნესდა ქარებს.

შეჭიდებული გრიგალის ტალღა,
ვაჟკაცურ წვივებს ჩოსას ახევდა,
და დროშას „დავით-თამარიანის“ მაღლა
შემართულს მძლავრად არხევდა.

იდგნენ რაინდნი, აცისკროვნებდათ,
ათინათები შუბთა წვეროსი,
როგორც სიმტკიცე მარადიული და ვით
სინდისი საქართველოსი!

### ყველა შემოქმედს!

საუკუნეებს მოსდგამთ ჟამი
ვარსკვლავთცვენისა,
თვით მათ წიაღში ამაღლდება
ზოგჯერ ტამარი,
ზოგჯერ გენია ვულკანივით ამოფეთქდება
და წელთა ქაოსს გადაუვლის
როგორც სანმარი!

მველი ნაშთების სინატიფე დღემდე
მოგვყვება,
შემორჩენილი სიამაყედ — დიდი განძია,
დიდება იმ ხელს ვინც ააგო
სვეტიცხოველი,
გრემი აშენა, გამოკვეთა კლდეში ვარძია!

დიდება მგოსანს, ვინც მერწავდა
სიტყვებს სტროფებად,
დაწნულ ჩუქურთმად ჩამოსხმულად
კიდით კიდემდე,
და იმ მომღერალს ვინც ეს ლექსი
წაიღიღინა,
შესძლო სიმღერით დაეწურა გული
სიღრმემდე!

ყველა შემოქმედს ვის მალუმდა ტაძრის
მოსატვა,
მათ მველ კედლებზე აღბეჭდილა სატთა
ნარჩენი,
სულიერებას რომ უმღვნიდნენ მიწას
დალოცვილს,
სადაც ღვთის ნებით მოევლინათ მადლი
გაჩენის!

მემატიანე, ალბათ, წუხდი ზოგჯერ
ნაწერზე,
გულისტკივილიც გადაწკარე, ალბათ,
ცრემლისა,
კვლავაც გენია ცას მოწყდება —
ვითარც ვარსკვლავი,
საუკუნეებს მოსდგამთ ჟამი
ვარსკვლავთცვენისა!

* * *

არა მარტოდ მარტო, არამედ ერთობით,
გრანიტის ლოდს გასვრეტს
წყლის წავლი წვეთობით!

მხოლოდ ერთგულები და არა ფლიდები,
მტრის გულსაც იპყრობენ
ლამაზი სიტყვებით!

არა სიბოროტით, არამედ სიკეთით,
თვალებს აუხელენ
გატანჯულს სიბეცით.

მართო ტკბილი ენით, და არა სიმწარით,
გველს დაძრავს სოროდან
ყოველი ვინც არი!

არა მჭმუნვარებით, არამედ ღიმილით,
შესძლებს გაქარვებას,
ჭრილობის ტკივილი!

ისევ სიყვარულით და არა მტრობით,
დანგრეულ სამირკველს,
აღვადგენთ შენობის!

კაცობრიობა სიცოცხლეს მისტირის,
და რჩება ლექსები,
ვით ძლევა სიკვდილის!

### დილის თბილისი

ვხვდები ალიონს — როგორც ყოველთვის,
ისევ ვერ ვიტევ მოვარდნილ სურვილს,
ცას ცისარტყელის ფერით დავსერავ,
ღრუბლის ქულებით მოვიკლავ წუწრვილს.

მზით გადასლართულ ჭადრის ტოტებში,
ჭორფლად დამწინწკლავს თამაში ჩრდილის,
კვლავ რუსთაველის ნაჩვევ გამზირზე,
ღიმმორეული ჩავყვები თბილისს.

ნათელი სვეტად ადგება სიონს,
მეტეხი ლანდად ირეკლა მტკვარმა,
და ქართლის დედის მტკიცე მარჯვენით,
ღამის ნისლები გაკვეთა ხმალმა.

ჩემი ქალაქის სითბო მაცოცხლებს
აქ არ ვშობილვარ ალბათ შემთხვევით,
მივეფერები კლდეზე აივნებს,
გადაღლილ მიწას შუბლით ვემთხვევი.

შენ გემონები ჩემო საუნჯევ
და მათრობს სუნთქვა შენი ქუჩების,
ეს ავგაროზად ყველგან თან მახლავს,
გულის სიღრმეში შენაქუჩები.

მუდამ ტვინს შანთავს შენზე ფიქრები,
უშენოდ ბორგავს სული ეული,
მსურს მტვერთან ერთად შენი ფილაქნის,
ფერფლიც გაიბნეს ჩემი სხეულის.

ფაქიზ შარმს შენი მომხიბვლელობის,
იდუმალებით ამშაფრებს წლები,
ვგევარ გორგასლის ფრთადაჭრილ სოსობს,
როს დაიმდუღრა გოგირდის წყლებით.

მამადავითთან დავკრეფ გვირილებს,
თუნდაც რიჟრაჟმა დამსუსხოს დილით,
და მთაწმინდიდან გადმოვეშვები,
რომ ბევრ გულში ჩავკრა თბილისს.

## ექსპერიმენტი

# ჭიაყელა უძახე შენ და...

## ანუ რა საოცარი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ, ერთი შეხედვით, უსარგებლო არსებას

(მეხუთე გვერდიდან)

ეს ნიშნავს, რომ თუ ბატონი ჯემალის კვალიფიციური კონსულტაციის მიღების შემდეგ არ დაგვეზარება, ხელი გავანძრიოთ და მიღებული რჩევები პრაქტიკულად განვახორციელოთ, ნაკვეთში, აივანზე, ან სულაც სახლის სახურავზე კარტოფილის, ხახვის, მწვანილის თუ სხვა ბოსტნეულის უხვ მოსავალს მოვიყვანთ. რაც მთავარია, საამისოდ არ დაგვჭირდება ქიმიური სასუქი, რადგან ნიადაგის განოყიერებაზე ჭიაყელები იზრუნებენ, ჩვენ კი მხოლოდ იმაზე ფიქრიღა მოგვიწევს, სად დავტიოთ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოუდგენლად დიდი მოსავალი.

ჭიაყელა ფუტკარივით მადლიანი არსება ყოფილა: მას შეუძლია მშვიდად იფუთფუთოს მიწაში და ჩვეულებრივი, ორგანული ნარჩენები (ფოთოლი, ხის ტოტები და სხვა) შეუფასებელ ბიოჰუმუსად, ანუ ბიოლოგიურ სასუქად აქციოს. საუკეთესო ბიოჰუმუსის შემქნელი ჭიაყელის ჯიშზე თავის დროზე ბევრი უფიქრიათ მეცნიერებს და დაუსკვნიათ, რომ საამისოდ საუცხოოა კალიფორნიული წითელი ჭიაყელა, რომელიც სხვა ჯიშებისაგან მეტი შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. ბევრი ლაპარაკით თავი რომ არ შეგაწყინოთ, გეტყვით, რომ გლდანის ერთ პატარა საცდელ ნაკვეთზე ბატონ ჯემალს სპეციალურ ჩარჩო-კონტეინერებში მოთავსებულ ნიადაგში სწორედ ასეთი ჭიაყელები ჰყავს შეშვებული და საექსპერიმენტოდ ბოსტნეული აქვს დათესილი. ჩვენს რესპონდენტებთან გასაუბრება მას შემდეგ გადავწყვიტეთ, რაც ყველამ კარგად ნახა, როგორ მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ჯემალ ბადაგაძის ექსპერიმენტი.

**ოთარ ონიანი, აკადემიკოსი:** — ეს მეთოდი ძალიან პერსპექტიული და ეფექტურია, განსაკუთრებით მცირემიწიანი ქვეყნისთვის, რადგან ამ გზით ნამდვილად დიდი მოსავალია მოსალოდნელი. ის, რასაც ბატონი ჯემალი გვთავაზობს, საქართველოსთვის ზედგამოჭრილია. განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ ამ გზით ეკოლოგიურად სუფთა მოსავალი მიიღება. ასეთი მოსავლის ღირებულება კი, ჩვეულებრივი წესით მოყვანილ მოსავალთან შედარებით, მნიშვნელოვნად დიდია. უდავოა, რომ ამ მეთოდის ფართოდ დანერგვას ჩვენმა ქვეყანამ ხელი უნდა შეუწყოს. ასეთ ჩარჩო-კონტეინერებში ბოსტნეულის გარდა, შეგვიძლია ისეთი ძვირადღირებული კულტურის მოყვანაზეც ვიფიქროთ, როგორც არის სოკო. ამას გარდა, შესაძლებელია ამ მეთოდით გამოვიყვანოთ იშვიათი ეგზოტიკური ჯიშის ხეხილის, ციტრუსის თუ ვაზის ნერგები. შედეგი დღეს უკვე აშკარაა, მაგრამ იმისათვის, რომ ყველაფერი მეცნიერულ დონეზე დავადგინოთ, საჭიროა ექსპერიმენტის გაგრძელება. უნდა ავიღოთ ჩვეულებრივი მიწა, ნაკელით გაპოხიერებული და ასევე ჭიაყელების დახმარებით მიღებული ბიოჰუმუსით გამდიდრებული ნიადაგი. სამივეგან ერთი და იგივე რაოდენობის ნებისმიერი კულტურა დავთესოთ და ბოლოს მოსავალი აღვრიცხოთ. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ვიცოდეთ, პროცენტულად როგორ მაჩვენებლებს მივიღებთ. წინასწარ რამის თქმა ძალიან ძნელია, მაგრამ, ჩემი მოსაზრებით, შედეგი მშვენიერი იქნება.

**ოთარ ზარდალიშვილი აკადემიკოსი:** — ეს მეთოდი საქართველოსთვის იმიტომაც არის ხელსაყრელი, რომ ჩვენს ქვეყანაში ბიოჰუმუსის წარმოებისათვის საჭირო ორგანული მასალა პრობლემა არ არის. პირიქით, საამისო ბაზა საქართველოში უზარმაზარია. თუ ჩვენი ფერმერები (განსაკუთრებით ისინი, ვისაც მცი-



რემიწიანი ნაკვეთები აქვთ) ბატონ ჯემალ ბადაგაძის მეთოდით იმუშავებენ, ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული ჭარბად გვექნება. გონივრულად მიდგომის შემთხვევაში. ამ გზით საქართველომ შეიძლება სერიოზული სიტყვა თქვას მსოფლიოში სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების დამზადების საქმეში.

**ზურაბ იაკობაშვილი, მსოფლიო ბანკის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერული კვლევის, სწავლება-კონსულტირების და დანერგვის პროექტის საკონკურსო გრანტების სამდივნოს უფროსი:** — ამ პროექტის დასახელება გახლავთ „ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე სასუქის მიღება“. პროექტი ჩვენ დავაფინანსეთ და, ბუნებრივია, მის მონიტორინგსაც ყურადღებით ვატარებთ. უცხოეთში ეს მეთოდი ძალიან პოპულარულია და ფართოდაც არის დანერგილი. არა მხოლოდ მიწის ნაკვეთებში — დიდ ქალაქებში, მაღალსართულიანი სახლების სახურავებზეც შეხვდებით ანალოგიური წესით გაშენებულ ბოსტნებს. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ მიმართულებით უფრო უკრაინაში მუშაობდნენ. საქართველოში კი ეს მეთოდი მხოლოდ იდეის დონეზე არსებობდა, დაახლოებით 12 წლის წინათ, მაგრამ მაშინ ეს იდეა ვერ განხორციელდა. მართალია, ჯემალ ბადაგაძეს „ველოსიპედი“ არ გამოუგონია, მაგრამ მან ამ „ველოსიპედის“ დამზადების მსოფლიოში აპრობირებული ტექნოლოგია ბრწყინვალედ აითვისა.

მოკლედ, პროექტის სადემონსტრაციო დღეს შედეგები ნამდვილად თვალსაჩინო აღმოჩნდა. სოფლის მეურნეობის დარგის როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა სპეციალისტებმა ძალიან კარგი შეფასება მისცეს ჯემალ ბადაგაძის ნამუშევარს, რაც, პროექტის კოორდინატორების თქმით, ნიშნავს, რომ მას მომავალშიც სერიოზული ხელშეწყობა ექნება და მიეცემა საშუალება, ეს ფრიად საშური საქმე წარმატებით გააგრძელოს.

მსოფლიოში არსებობს ცნობილი ინსტიტუტი — ხორბლისა და სიმინდის კულტურების მოსავლის გაუმჯობესების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც „სი-ჯი-არ“-ის სისტემაში შედის და მისი შტაბ-ბინა ვაშინგტონშია. მოგეხსენებათ, საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერებებიც ამ სისტემის ფარგლებში იმართება, თავად „სი-ჯი-არ“-ის ცენტრი კი მეხიკოშია. ზემოთ ხსენებული ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ალექსეი მორგუნოვი ამიერკავკასიის და შუა აზიის ქვეყნებში მიმდინარე პროგრამების კოორდინატორია და, ამდენად, ის კარგა ხანია, აქტიურად თანამშრომლობს ხორბლისა და სიმინდის კულტურების ქართველ სპეციალისტებთან. ერთ-ერთი მათგანი დავით ბედოშვილია, რომელიც ალექსეი მორგუნოვთან ერთად, ჯემალ ბადაგაძის პროექტის სადემონსტრაციო დღეს გლდანში გახლდათ მიწვეული. ამ გამოცდილი ადამიანების მოსაზრებითაც, ჯემალ ბადაგაძის პროექტის წარმატება რეალურია, ახლა დარჩენილია მხოლოდ ერთი ცდა სათბურის პირობებში, სადაც შედარება მოხდება და დამტკიცდება, რომ ბიოჰუმუსით გაცილებით მეტი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანაა შესაძლებელი. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ეფექტი აუცილებლად თვალსაჩინო იქნება, რადგან ბიოჰუმუსი ძალიან ნაყოფიერი სუბსტრაქტია და ის არაერთი ფაქიზი ნერგისა თუ სათესლე მასალის გამოსაყვანადაც გამოდგება.

**რაც შეეხება ამ მეთოდის ყოველდღიურ პრაქტიკაში დანერგვას, ბატონ ზურაბ იაკობაშვილის თქმით, ეს პროცესი უკვე დაწყებულია:**

**— ჩვენი ყველა პროექტის ფარგლებში ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ფერმერთა სწავლება. უფრო მეტიც, სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი და საამისოდ ყოველთვის სოლიდური ფინანსები არის ხოლმე გათვალისწინებული. გლდანში, სადაც ჯემალ ბადაგაძის პროექტი ხორციელდება, არაერთი ლექცია-სემინარი თუ პრაქტიკული მეცადინეობა მოეწყო. შედეგად, აქაური ფერმერები უკვე დარწმუნდნენ, რომ მცირემიწიან ნაკვეთში ასეთი ტექნოლოგიით უმჯობესია ბოსტნეულის მოყვანა, რადგან მეტ და ეკოლოგიურად სუფთა მოსავალს მიიღებენ. გლდანის გარდა, ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს წილკანში ერთი ფერმერის ნაკვეთში, კრწანისში კი იგივე ექსპერიმენტი სათბურის პირობებშია დაწყებული. ვცდილობთ, ეს მეთოდი ფართოდ გავავრცელოთ და მომავალში მთელ ქვეყანაში დავნერგოთ.**



ელზა ჯმუხაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

## საქართველოს განათლების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
## ტენდერი

### საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციებისათვის

### მასმედიისათვის განკუთვნილი პროდუქციის შექმნა და საკონსულტაციო მომსახურება

**კრედიტი №3474-GE**

საქართველოს განათლების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში საშუალო განათლების პროგრამის რეფორმის მიზნით ახორციელებს 'განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს". კრედიტის გარკვეული ნაწილი მოხმარდება მასმედიისათვის განკუთვნილი პროდუქციის შექმნას. შერჩეული კონტრაქტორი უშუალო დავალებების შესრულებასთან ერთად მოვალე იქნება აქტიურად ითანამშრომლოს სხვა ადგილობრივ კონტრაქტორებთან, რომლებიც განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაეხმარებიან საზოგადოებრივი აზრის კვლევასა და ბეჭდვითი პროდუქციის დამზადებაში. ამასთანავე, კონტრაქტორი ვალდებული იქნება მონაწილეობა მიიღოს რეგულარულ საკოორდინაციო შეხვედრებში ინფორმაციის გაცვლის, მიმდინარე საქმიანობის განხილვის, რეკომენდაციების შემუშავებისა და ინსტრუქციების მიღების მიზნით.

მოცემული ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების ძირითადი მიზანია განუმარტოს სამიზნე ჯგუფებს განათლების რეფორმის მნიშვნელობა, მიაწოდოს ინფორმაცია რეფორმის მიმდინარეობის შესახებ და ხელი შეუწყოს მხარდამჭერი გარემოს შექმნას. შერჩეულმა კონტრაქტორმა ხელშეკრულების ფარგლებში უნდა შეასრულოს შემდეგი სამუშაოები:

1. დაამზადოს სატელევიზიო რეკლამები;
2. დაამზადოს რადიო რეკლამები;
3. დაამზადოს ე. წ. „აუდიო/ვიდეო პრეს რელიზები" (რეპორტაჟები);
4. მოამზადოს სატელევიზიო გადაცემები;
5. მოამზადოს რადიო გადაცემები;
6. პრესაში განსათავსებლად მოამზადოს საგაზეთო სტატიები;
7. გაუწიოს კონსულტაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს რეფორმის იმიჯთან დაკავშირებულ საკითხებში;
8. შეიმუშაოს ე. წ. „მედია გეგმა".

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ პირველადი სატენდერო განაცხადი - კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია:

- ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ;
- შესრულებული მსგავსი სამუშაოების აღწერილობა;
- განათლების ან მასთან დაკავშირებულ სფეროში შესაძლო გამოცდილების აღწერილობა;

კონტრაქტორი შეირჩევა მსოფლიო ბანკის პროცედურების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება და განაცხადების ჩაბარება შესაძლებელია სამუშაო დღეებში 11-დან 17 -მდე ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

**საქართველოს განათლების სამინისტრო განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**

**0102 თბილისი,**
**დ. უზნაძის ქ. №52, პირველი სართული, ოთახი №102**
**ტელ: 95-98-37;**
**ტელ./ფაქსი: 95-83-13.**
E-mail: GEP@wanex.net

**საკონტაქტო პირი:**
**ქ-ნი ეკა ეზუგბაია**

**განაცხადების მიღება შეწყდება 2003 წლის 8 აგვისტოს 17 საათზე.**

---

მიმდინარეობს შპს „ავტოექსპორტის" (რეგისტრირებულია ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 1995 წლის 19 დეკემბერს, რეგისტრაციის ნომერი 5/4-268) ლიკვიდაცია. ორგანიზაციებს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დასაფარავად გთხოვთ, მიმართოთ ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს ბ-ნ თემურ კოხოძეს მისამართზე: ქ. თბილისი, დიღმის მასივი VI კვ. 22 ბ კორპ. ტელ.: 52-49-20, 52-52-54. 94-02-83.

**შპს „ავტოექსპორტის"**
**გენ. დირექტორი თ. კოხოძე.**

---



---

**მიმდინარეობს შპს „თბილწყალკანალმშენის" ლიკვიდაცია — დაინტერესებულმა პირებმა მიაკითხონ ქავთარაძის ქ. № 5.**

**ტელ: 39-09-73.**

**საწარმოს ადმინისტრაცია.**

---

# აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

## პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით, საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს, და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს, რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია „BP", თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, „საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი" (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალების და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას, გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში მოეწყო „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა, რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს „გარემოსდაცვითი შეფასების" დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჯერად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან), რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ. ეს ორგანიზაციები მიესალმებიან შენიშვნების და მოსაზრებების მიღებას საზოგადოების წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის „Infoshop"-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD –ს საინფორმაციო ბიზნესცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი, საბურთალოს ქ. 38, თბილისი, ტელ: 59-34-00.

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის – ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 901, თბილისი.

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში – გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი.

რუსთავის მერიაში – კოსტავას ქ. 20, რუსთავი.

ახალციხის მერიაში – კოსტავას ქ. 18, ახალციხე.

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას" და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს" მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com).

---

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 198, ორშაბათი, 28 ივლისი, 2003 წელი.

## ორშაბათი
### 28 ივლისი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.15** მხ. ფილმი "**აფრილი**" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **13.00** თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი ცერემონია **14.00** "ოქროს მართვე" **14.30** დოკ. სერიალი "ტყის მცველები" **15.15** მხ. ფილმი "**შუაღამის კაცი 16.40** სერიალი "**ძილის წინ**" **16.55** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.20 50–50 18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** "პალიტრა" **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" **22.00** "პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი" **22.40** ტელესერიალი "**ძილის წინ**" **23.00** "რა ხდება?" **00.00** მხ. ფილმი "**სამოთხის ქიმბაში**".

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი "**რვაფეხა**" **20.30** ლატარია ყველასთვის **20.40** ვმესტე **21.10** დოკ. ფილმი **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი "**ექსპერიმენტი ფილადელფია 2**".

**08.00** კლასიკა **08.25** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **08.50** სერიალი "ბურატინოს თავგადასავალი" **10.00** სერაილი "**ასულ ტეკილა**" **10.20** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი "**მეწამული ყვავილი**" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "**მოურჯულებელი ჰილდა**" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "**ასულ ტეკილა**" **18.00, 21.00** კურიერი **18.20** ჩვენი ეზო **18.30** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "**მაშველები**" **19.40** სერიალი "**მოურჯულებელი ჰილდა**" **22.00** სერიალი "**ჯაშუში**" **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ. ფილმი "**სიცოცხლის ფასად**". მთ. რ-ში: სტივენ ბოლდუინი, ტომ სკერიტი. **02.00** კურიერი.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.15** აღსავალი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 18.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი "**ერთხელ ამერიკაში**" 1-ლი ს. **10.20** მხ.ფ. "**ერთხელ ამერიკაში**" 1-ლი ს. **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **14.10** დოკ. ფილმი **15.20** დოკ. ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.45** დოკ. ფილმი "მოდის სამყაროს შემოქმედი" **20.00** ბურთი და მოედანი **20.30** მხ. ფილმი "**შერეკილთა ქვეყანა**" **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. "**ითამაშე ზიზუსავით**" **01.30** ღამის ფილმი

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "**იუდას ქალი**" 81-ე ს. **10.30** ლარის მახე **11.05** სერიალი "**იმპერია - ნოუბლ ჰაუზი**" მე-3 ს. **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "**ექიმი მარტა და მისი პაციენტები**" მე-11 ს. **13.30** სერიალი "**უკიდურესი ზღვარი**" **14.05** სერიალი "**მკვლელობის ილუზია**" მე-21 ს. **15.15** მხ. ფილმი "**სიმაღლე**" **17.25** "X კლუზივი" **18.05** სერიალი "**იუდას ქალი**" **19.30** სერიალი "**ექიმი მარტა და მისი პაციენტები**" **20.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **21.05** სერიალი "**მკვლელობის ილუზია**" მე-17 ს. **23.00** სერიალი "**ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები**" **23.50** კინო-ნოსტალგია "**რკინის ნიღაბი**"

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "**მარია ემილია**" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" **19.00** სერიალი "**მარია ემილია**" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "**მეფე მორიელი**" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "**ფულის სამყარო**"

**12.00** ინდური მხ. ფილმი "**წვიმის სეზონი**" **15.00** მხ. ფილმი "**გატაცება 60 წამში**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "**შფოთის თავები**" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "**მამაცი გული**"

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "ვარსკვლავები გვამცნობენ" **13.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.00** მხ. ფილმი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** ფილმის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ექსტრაორდინალური **20.30** მუსიკალური პაუზა **21.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები **22.30** პირველი ნაბიჯები **23.00** მუსიკალური პაუზა **23.00** ინდური მხ. ფილმი "**სულიერი სიახლოვე**"

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "**გზა შინისკენ**" მთ. რ-ში როერტ ჰაისი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "**რობ როი**" მთ.რ-ში ლიამ ნისონი, ჯესიკა ლანგი. **01.40** "ღამურა" "**ნიანგი**" მთ.რ-ში მარკ მაკლოუხლინი. **03.45** პაუზის გარეშე

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 17.50, 19.50** მუსიკა **10.10** მხ. ფილმი "**რობერტი და კლარა**" **11.55** მულტფილმი "ფიფქია" **12.45** მხ.სერიალი "**რუსი ამორძალები**" მე-6ს. **13.30** "ოსტატები"- ლეილა აბაშიძე **13.45** "ბელისიმო" **14.15** "ჩემი ქვეყანა" - ჯაზი თბილისში **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.20** მულტფილმი "ტომი და ჯერი" **15.50** დოკ. ფილმი "ღმერთების ეტლები" **16.35** მულტფილმი "ქალთევზა" **18.05** სერიალი "**ჯონ როსი**" **18.30** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **19.00** სერიალი "**პოლიციელი ქალი**" მე-23ს. **20.05** დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" **21.15** სერიალი "**ციებ-ცხელება**" მე-16 ს. **22.00** გადაცემა "ღამის მატარებელი" **00.20** მხ.ფილმი "**მოჩვენება**"

## სამშაბათი
### 29 ივლისი

